

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი
J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების
დეპარტამენტი

სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ცაცა ჩხარტიშვილი

ბენერალი ბიორბი მაზნიაშვილი

მეომრის ბიბლიოთეკა №20

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

თბილისი

2008

თქვენს წინაშეა ახალი სერიის „მეომრის ბიბლიოთეკის“ მეოცე წიგნი; სერია ითვალისწინებს წიგნების მთელ წყებას, რომლებშიც პოპულარულად იქნება გადმოცემული საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები.

სერიის მიზანია ქართველი მეომრის და იმედია, არა მარტო მისი, პატრიოტული აღზრდა და ცოდნის მიწოდება მისაღებ ფორმებში. სერიაში გათვალისწინებულია პოპულარული, მაგრამ მაღალ პროფესიონალურ დონეზე დაწერილი სახელმძღვანელოები; ეს პატარა, მაგრამ ტევადი და კარგად გაფორმებული ბროშურები მიედევნება ქართველთა უდიდეს მეფე დავითს, თამარს, გიორგი ბრწყინვალეს, ბაგრატ III-ს, საქართველოში წარმოებულ მთავარ და გადამწყვეტ ბრძოლებს, XIX–XX სს-ის გამოჩენილ ქართველ ოფიცრებს, საქართველოსა და მსოფლიო სამხედრო ისტორიის ცალკეულ საკითხებსა და ა.შ.

სერიის გამოცემის ინიციატორები არიან ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დიდი სურვილი და იმედი გვაქვს, რომ მეომართა და ოფიცერთა გარდა, საქართველოს ყოველი მოქალაქე სიამოვნებით მიიღებს ამ სერიის ყოველ ახალ წიგნს.

სერიის გარეკანზე მოთავსებული წარწერა და დიდი დავითი ყველას შეახსენებს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება.

ვაჟა კიკნაძე

სერიის სარედაქციო კოლეგია: ისტორიის მეცნიერებათა
ლოქტორი, პროფესორი **ვაჟა კიკნაძე**

ისტორიის მეცნიერებათა
ლოქტორი, პროფესორი **თამაზ ბერაძე**

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა
ლოქტორი, პროფესორი **დოდო ჭუმბურიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ლეილა ხურცია**
ყლის დიზაინი: **გიორგი კიკნაძე**

რედაქტორი: **ნარგიზ ხარაბაძე**
ტექნიკური რედაქტორი: **მარი ჭონიშვილი**

დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო დეპარტამენტის უფროსის – პოლკოვნიკ ნოდარ ქვილითაიას მიერ

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის
ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. 2008 წ.

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20

ტელ.: +995 32 91-19-83

ფაქსი: +995 32 91-19-83

გიორგი მაზნიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა სამშობლოსადმი უანგარო სამსახურის საუკეთესო მაგალითია. მან სამართლიანად დაიმკვიდრა ადგილი სამშობლოს სახელოვან გმირთა გალერეაში.

ქედუხრელი გენერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი საარქივო მასალები, სამწუნაროდ შთანთქა ომისა და განუკითხაობის ხანძარმა, რის გამოც, საქართველოს არქივსაცავში მეტად მწირი ცნობებია დაცული გენერალ გიორგი მაზნიაშვილის შესახებ, თუმცა ყურადსაღებია გურამ შენგელიას და თეიმურაზ ზურმუხტაშვილის წიგნი „მე საქართველოს გენერალი ვარ“. ნაშრომში გაშუქებულია გიორგი მაზნიაშვილის ეროვნულ-პატრიოტული მოღვაწეობა, ნაჩვენებია მისი დამსახურება ქართული ჯარის მშენებლობაში, სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. გენერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ზოგადად შეეხნენ ქართველი მწერლები და ჟურნალისტები. მიგვაჩნია, რომ უმთავრეს წყაროს გიორგი მაზნიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მაინც მისი „მოგონებანი“ წარმოადგენს.

გიორგი მაზნიაშვილის „მოგონებანი“ გვახსენებს 1917-1925 წლების კრიზისულ მოვლენებს. მკაცრ ეროვნულ განსაცდელს, ამ პერიოდში ჩვენმა მრავალტანჯულმა ხალხმა რომ გამოიარა. წიგნი პირველად გამოქვეყნდა 1926 წელს.

გიორგი მაზნიაშვილი დაიბადა 1870 წელს, სოფელ სასირეთში (კასპის რაიონი) გლეხის ოჯახში. არსებობს ვერსია მისი არაქართული წარმოშობის შესახებ.

თეძამის ხევზე სამხედრო ცხენოსანთა პოლკი მდგარა. ერთი ახალგაზრდა, გვარად მაზნიევი, დემობილიზაციის შემდეგ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა; სასირეთში გლურჯიძეების ოჯახში ჩასიძებულა. ამ ვერსიის მიხედვით, მისი ქართული მოდგმაც აქედან მოდის.

გენერლის ვაჟიშვილიც დაინტერესებულა თავიანთი გვარის წარმოშობით. იგი მივიღინებით უკრაინის ერთ სოფელში მოხვდა, სადაც მოსახლეობის უმეტესობა მაზნიევიები აღმოჩნდნენ და ბორისმაც ისინი თავის წინაპრებად მიიჩნია.

გიორგი მაზნიაშვილის მამა – ვანო (ივანე) ტიპიური ქართველი გლეხი იყო, რომ იტყვიან, ერთი ღერი რუსული არ იცოდა. არც ივანეს მამას სცოდნია რუსული. ისიც სასირეთში ყოფილა დაბადებული და გაზრდილი.

გიორგი აღნაგობით საშუალოზე ცოტა უფრო დაბალი ყოფილა. შავგვრემანი, შავთვლწარბით, ჩაფსკვნილი. მამამისი ივანე, ოცნებობდა შვილი სამხედრო ოფიცერი გამოსულიყო. მეზობლებში, ნათესავებში კაპიკ-კაპიკ სესხულობდა ფულს და ასე შეგროვილი თანხით მოუხერხებია შვილი კადეტთა კორპუსში* შეეყვანა სასწავლებლად.

გიორგი შემდგომში სახელგანთქმული გენერალი გახდა. იგი სიცოცხლეს არ ზოგავდა დემოკრატიული საქართველოს განმტკიცებისათვის.

საქართველოში მე-11 არმიის შემოსვლის შემდეგ, გენერალს არსად უმუშავია, სოფელში ცხოვრობდა და თავის მამულში ტრიალებდა, ზამთრობით რამოდენიმე თვით თუ ჩავიდოდა თბილისში.

ძალიან უყვარდა სოფელი, იქაური ხალხი, დღენიადაც მათთან იყო, მამულს ევერებოდა, უყვარდათ სასირელებსაც. გენერალი სულ იმის ცდაში იყო, სოფელს გამოდგომოდა, სოფლისათვის სიკეთე მოეტანა, რაიმე ერგო, დახმარებოდა.

მდინარე მტკვარი შუაზე ყოფს სასირეთის მინდვრებს. ხალხს ფონით უხდებოდა გაღმა გასვლა, რაც დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული. რამდენჯერმე აღიდებულ მტკვარს ურემი გადაუბრუნებია და მეურმე დაუხრჩვია. ეს ამბავი ძლიერ აწუხებდა სოფელს, სანამ გენერალმა გამოსავალი არ იპოვა: თბილისში წავიდა, ქვეყანა შესძრა, ბორნის ჯაჭვი იშოვნა, სასირეთში ჩამოიტანა და მტკვარზე ბორანი ააგო, ხალხმა ამოისუნთქა, შვება იგრძნო. სოფელს სასძელი წყალი არ გააჩნდა. წყარო ძალიან მოშორებით იყო, ამიტომ სოფლის მოსახლეობა თეძამის წყალს სვამდა. მაგრამ როცა წვიმა იყო, თეძამი ისე იმღვრებოდა, არც დასაღვეად და არც გასარეცხად აღარ ვარგოდა. ეს ჭირიც მოაშორა გენერალმა სოფელს. ახალქალაქში თიხის მიწები ჩამოასხმევინა და სოფელში ჩამოიტანა. ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ხანმოკლე გამოდგა ეს სიხარული. ხეხილის ფესვებმა მიწები დახეთქა და წყალი აღარ გაატარა. გენერალმა კვლავ თბილისს მიაშურა. რკინის მიწები ჩამოიტანა და ერთხელ და სამუდამოდ მოუღო ბოლო სოფლის გასაჭირს.

სოფელს სკოლაც არ ჰქონდა. მთელ სოფელში ერთმა-ორმა კაცმა თუ იცოდა წერა-კითხვა. მაზნიაშვილმა იხმო გლეხობა და გამოუცხადა: სკოლა უნდა ავაშენოთ თქვენი შვილებისათვის. თეძამზე რიყის ქვა ბევრია, ურმები ყველას გაქვთ, მომიზიდეთ და აშენების ხარჯი ჩემი იქნებაო. მალე ოთხწლიანი სკოლა გაიხსნა სასირეთში. ბარნაბიანთ კარიდან ცნობილი პედაგოგი ლავრენტი ბარნაბიშვილი მოიწვია და სკოლას სათავეში ჩაუყენა. ამ სკოლამ ბევრ ახალგაზრდას გაუხსნა ხელ-ფეხი და აზიარა განათლებას.

გენერალ გიორგი მაზნიაშვილს სოფელში ეკლესიაც აუშენებია და თბილისიდან მოწვეული მხატვრისთვის მოუხატინებია.

გენერალი ბუნებით კეთილი კაცი ყოფილა: დიდთან – დიდი, პატარასთან – პატარა, უყვარდა ახალგაზრდობა. ყველასადმი პატივისცემის გრძნობით ყოფილა გამსჭვალული. გენერალი მაზნიაშვილი გულუხვი პიროვნებაც იყო. ძალიან ხშირად ასაჩუქრებდა თანასოფლელებს. ხშირად გლეხებთან ქეიფობდა, მაგრამ მთვრალი არავის უნახავს.

გიორგობა დღეს სოფელს პატიუბდა ეკლესიის ეზოში და საღამოს აგიზგიზებულ ცეცხლთან იკრიბებოდნენ. ის ყოველთვის თავის თანასოფლელების გვერდით იყო. გენერლის კაცთმოყვარეობაზე ისიც მეტყველებს, რომ მან რუსეთ-იაპონიის ომის დროს ჩინეთიდან ლტოლვილი ბიჭი შეიფარა, ჩამოიყვანა თავის სოფელში, დაარქვა ქართული სახელი –

ტუხა. გვარიც ჩინურს მიაძვინავს, „ჯუჯანქაია“ უწოდა. შერთო ქართველი ქალი და ამით საფუძველი დაუდო ჩინურ-ქართულ მოღვაწეს.

მწერალი ელიზბარ მაისურაძე, რომელიც გენერლის ნათლული იყო, კარგად იცნობდა გენერლის ოჯახს, მის შვილებს. თავის მოგონებებში იგი წერს: „მისი შუათანა ვაჟი ვანოც დახვრიტეს. მისი „დანაშაული“ ის გახლდათ, რომ მაზნიაშვილის ვაჟი იყო. უმცროსმა ბორისმა კი თავს უშველა, ბაქოში გადაიხვეწა. შემდეგ იგი თბილისში დაბრუნდა და პოეტ იოსებ ნონეშვილის დახმარებით დაიბრუნა მამისეული სახლი. იმ ქუჩაზე, რომელსაც ახლა გიორგი მაზნიაშვილის სახელი ეწოდება, მისი შთამომავლები ბინადრობენ და ამ სახლში სათუთად ინახავენ ცნობილი მხედართმთავრის მემორიალურ ნივთებს.

გენერალს კიდევ ერთი ქალიშვილი დარჩა – ანეტა, რომელიც დაქორწინდა და თბილისში დასახლდა. ანეტას მეუღლე რუსი ჰყავდა, რომელსაც მალე გაშორდა. დარჩა ერთი ვაჟიშვილი, რომელიც მილიციაში წაუყვანიათ და იქ ცემისაგან შემოკვდომიათ. მეორედაც გათხოვდა ანეტა, შეეძინა ორი ვაჟი, მაგრამ ისინიც ჭაბუკობის პერიოდში გარდაიცვალნენ.

გიორგი მაზნიაშვილი დამოუკიდებლობის წლებში შემომვლელი რაზმის უფროსიც იყო, დივიზიისაც, გარნიზონისაც, შავი ზღვის სანაპიროების ჯარებისაც, თბილისისა და მისი რაიონის სარდალიც და სოღანლუღის რაიონის ჯარებისაც, თბილისისა და მისი მიდამოების, აფხაზეთის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორიც. მთელს საქართველოში უწევდა ტრიალი და წარმატებით ებრძოდა ოსმალებსაც, სომხებსაც, ბოლშევიკებსაც, ვინც სახელმწიფოებრივ საზღვრებს არღვევდა... მეთერთმეტე არმიის წინააღმდეგაც მოუხდა ბრძოლა და იმათაც საკმაო წარმატებით გაუმკლავდა.

გენერალი მაზნიაშვილი, როგორც პროფესიონალი სამხედრო, რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი საუკეთესო მხედართმთავარი იყო, მას თავი უსახელებია რუსეთ-იაპონიის ომში. ლაზარეთში მყოფი დაჭრილი გენერალი პირადად იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ ინახულა და გამოჩენილი მამაცობისათვის წმიდა გიორგის ჯვრით დააჯილდოვა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გენერალი სამშობლოში ბრუნდება და თანამოაზრეებთან ერთად იწყებს ენერგიულ მუშაობას ქართული ჯარის შესაქმნელად.

სამშობლოში დაბრუნებული ქართველი სამხედრო ინტელიგენცია რეალურად აფასებდა თებერვლის რევოლუციის შემდეგ იმპერიაში შექმნილ რთულ პოლიტიკურ ვითარებას, გრძნობდა სამშობლოსათვის სანუკვარი დამოუკიდებლობის აღდგენის მომენტის მოახლოებას და ყველაფერს აკეთებდა ეროვნული შეიარაღებული ძალების, რაც შეიძლება უმოკლეს ვადებში შესაქმნელად. გიორგი, „მოგონებებში“ გვიამბობს არსებულ სიტუაციაზე: „მე ჩამოვედი ტფილისში 1917 წელს 20 სექტემბერს დასავლეთის ფრონტიდან. ჩემთან ერთად ჩამოვიდა 60-მდე ქართველი ოფიცერი და ჯარისკაცი. ჩვენ თავს მხნედ და იმედიახად ვგრძნობდით, ეროვნული სამხედრო ნაწილების შედგენაზე ვამყარებდით დიდ იმედებს. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ნაწილების შედგენას უკვე შეუდგნენ ჩვენში და ველოდი, რომ დღე-დღეზე მიმიწვევდნენ

სამსახურში. მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქმე ისე არ იყო როგორც მოველოდი. ტფილისში ამ დროს არსებობდა ჯერ კიდევ ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი, რომელიც შესდგებოდა კომისრისაგან. ხოლო არმიას სათავეში უდგა კავკასიის ფრონტის მთავარი სარდალი თავისი შტაბით და კავკასიის სამხედრო ოლქი“.

გენერალი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ არავითარი ეროვნული სამხედრო ნაწილი არ არსებობდა. იყო ორი ქართული ლეგიონი, ერთი ქვეითი და ერთი ცხენოსანი.

ოქტომბერში ფრონტიდან დაბრუნდა ორივე ქართული ლეგიონი, ხოლო ქუთაისში შედგა სათადარიგო ქართული ათასეული. აი, ეს ნაწილები გახდა საფუძველი ქართული არმიის შექმნისა, აღნიშნავს გენერალი.

იგი გულისტკივილით იგონებდა: „ქართული ჯარების შესადგენად პირობები ვერ იყო კარგი. როგორც კავკასიის არმიაში, ისე კავკასიის ოლქის შტაბებში. გრძნობდნენ, რომ დღე-დღეზე უნდა დაშლილიყო მათი ჯარები და ამიტომ ამ საქმეს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ჯარისკაცები სამსახურის მაგივრად დადიოდნენ მიტინგებზე, ქეიფობდნენ და პირად საქმეებს აწყობდნენ. ყაზარმებში დადიოდნენ მხოლოდ დასაძინებლად. კავკასიის არმიის უზარმაზარი საწყობები, რომლებიც სავსე იყო მრავალ მილიონიანი ქონებით, თითქმის უდარაჯოდ იყო დატოვებული. ცხენები მრავლად იხოცებოდა შიმშილით, რადგან საკვებს, რომელსაც იძლეოდა სამხედრო სამმართველო, ჯარისკაცები ჰყიდდნენ ბაზარზე. ფრონტიდან დაბრუნებულ დეზერტირებს უფრო მეტი არეულობა შეჰქონდათ ჯარისკაცებში. ისინი არამც თუ თვითონ უფროსებს, ქალაქის მილიციასაც კი არ ემორჩილებოდნენ. ახლად შემდგარი ეროვნული ნაწილები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტ წილს იგდებდა ხელში სახელმწიფოს ქონებიდან. ოფიცერთა შემადგენლობაც ვერ იდგა სასურველ სიმაღლეზე. რომ ჰხედავდნენ, გარშემო ყველაფერი როგორ იხრეოდა, თვითონაც აცდნენ კეთილ გზას, ხოლო უფრო შეგნებული და გამოცდილი ოფიცრები, ხელისუფლების უძღურების გამო, თვითონაც უძღურნი იყვნენ და არ იცოდნენ, რანაირად ეშველათ საქართველოსათვის და მოესპოთ უბედურება, რომელიც დღითი-დღე იზრდებოდა“.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქართველ ოფიცერთა შემადგენლობა იმდენად დიდი იყო, რომ ის ეყოფოდა ერთ კი არა, სამ კორპუსს. ოფიცერს საზოგადოდ არაფრისა და არავისი არ ეშინოდა. ჯამაგირი მეტად მცირე იყო. ისიც რამოდენიმე თვეში ერთხელ. იარაღი, აღკაზმულობა და მთავარი სურსათის მარაგი საწყობებში იმდენი იყო, რომ შესაძლებელი იყო თუნდ 50 ათასი კაცის შეიარაღება, აღკაზმვა და გამოკვება ათი წლის განმავლობაში. საჭირო იყო მხოლოდ ჯარისკაცები, რომელთა გამოწვრთნა შესაძლებელი იყო ორი-სამი თავი განმავლობაში, თუ მთავრობა ამ საქმეს გულთმოდანადად და საჭირო დახმარებას გაუწევდა, წერს გიორგი მაზნიაშვილი. მაგრამ მენშევიკური მთავრობა, ქართული არმიის შედგენას გულგრილად უყურებდა და ჯარისკენ მხოლოდ მაშინ მიიხედავდა, როდესაც გაჭირვება დაადგებოდა, დანარჩენ დროს კი იგი მიშვებული იყო თავის ნებაზე. ყოველივე ამას კარგად

ხედავდა სამშობლოში დაბრუნებული გენერალი მაზნიაშვილი და ყველაფერს აკეთებდა ქართული შეიარაღებული ძალების ჩამოსაყალიბებლად. სათანადოდ გაწვრთნილი ეროვნული არმიის შექმნა გენერალ მაზნიაშვილს ქართული სახელმწიფოს არსებობის გარანტად მიაჩნდა. პატრიოტ გენერალს ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტის დროს მხარში ედგნენ რუსეთის ყოფილი იმპერიის არმიის გენერალიტეტის გამოჩენილი წარმომადგენლები, ქართველი გენერლები: ოდიშელიძე **, გაბაშვილი **, ანდრონიკაშვილი **, იმნაძე **, გედევანიშვილი ** და მრავალი სხვა. გენერალი გიორგი მაზნიაშვილი სამხედრო საქმის ბრწყინვალე პროფესიონალი, გამოირჩეოდა სიმართლითა და გამბედაობით. გენერალი გიორგი კვინიტაძე ** საგანგებოდ აღნიშნავდა: „გენერალი მაზნიაშვილი მამაცი კაცია, რამდენჯერ მინახავს ტყვიების ზუზუნში და გადაჭრით შემიძლია თქმა, რომ არასასურველ ვითარებაშიც კი მამაცია, სწორედ ესაა მისი ნაკლი – მოჭარბებული სიმამაცე; ხშირად გადადებდა ხოლმე თავს... შეიძლებოდა თავი წაეგო და ხელიდან გამოგვცლოდა ისეთი კაცი, რომლის დაკარგვაც დიდ ზიანს მოგვიტანდა“.

გენერალ მაზნიაშვილის დაუღალავი მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა ქართველი ახალგაზრდობის მიზიდვა ქართულ ჯარში. სამშობლოში დაბრუნებულ ქართველ ოფიცერთა თანადგომით მან თავი მოუყარა 16 წლიდან 20 წლამდე ახალგაზრდებს და საფუძველი ჩაუყარა მეორე ქართულ დივიზიას.

თვითმპყრობელობის დამხობამ ნიადაგი მოამზადა ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად, თუმცა ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა უცებ არ მომხდარა. 1917 წლის 9 მარტიდან 15 ნოემბრამდე არსებობდა დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული განსაკუთრებული კომიტეტი („ოზაკომი**), რომლის თავმჯდომარე იყო რუსი კადეტი* ხარლამოვი. ქართველებიდან „ოზაკომის“ წევრები იყვნენ: სოციალ-ფედერალისტი კიტა აბაშიძე, ხოლო შემდეგ – სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი. 1917 წლის 15 ნოემბრიდან განსაკუთრებული კომიტეტი ამიერკავკასიის კომისარიატით შეიცვალა. მისი თავმჯდომარე გახდა სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი. 1918 წლის 10 თებერვლიდან კომისარიატთან ერთად, დაფუძნდა ამიერკავკასიის სეიმი*, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს სოციალ-დემოკრატი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე.

1918 წლის 26 მაისს თბილისში შედგა სეიმის უკანასკნელი სხდომა. ამიერკავკასიის ფედერაცია დაშლილად გამოცხადდა.

საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ქართველმა ხალხმა ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლების შედეგად გადააგდო რუსეთის იმპერიის კოლონიური უღელი, დაიბრუნა დაკარგული სახელმწიფოებრიობა და დააფუძნა დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ეროვნული საბჭოს წევრებმა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ ერთხმად მიიღეს. დამტკიცდა დროებითი მთავრობა ასეთი შემადგენლობით: ნოე რამიშვილი (სოციალ დემოკრატი) – მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი, აკაკი ჩხენკელი (სოციალ-დემოკრატი) – საგარეო საქმეთა მინისტრი, გრიგოლ

გიორგაძე (სოციალ-დემოკრატი) – სამხედრო მინისტრი, გიორგი ჟურული (ეროვნულ-დემოკრატი) – ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, გიორგი ლასხიშვილი (სოციალ-ფედერალისტი) – განათლების მინისტრი, ნოე ხომერიკი (სოციალ-დემოკრატი) – მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი, შალვა მესხიშვილი (სოციალ-ფედერალისტი) – იუსტიციის მინისტრი და ივანე ლორთქიფანიძე (სოციალ-რევოლუციონერი) – გზათა მინისტრი. აქვე აღვნიშნავთ, რომ 1919 წლის 21 მარტს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი კაბინეტი: მთავრობის თავმჯდომარე – ნოე ჟორდანიას, საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი – ევგენი გეგეჭკორი, შინაგან საქმეთა, სახალხო განათლებისა და სამხედრო მინისტრი – ნოე რამიშვილი, მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი – ნოე ხომერიკი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი – კონსტანტინე კანდელაკი. ყველა მინისტრი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი იყო.

ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი უპირველეს ამოცანას შეადგენდა ზრუნვა ქართული ჯარის შესაქმნელად. საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა უმრავლესობას და მთავრობის წევრებს კარგად ესმოდათ დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის არმიის დიდი მნიშვნელობა. ახალი ეროვნული ჯარის პირველი ნაწილი შეადგინა ორმა ქართულმა პოლკმა, რომელიც ჩამოყალიბდა რუსეთის არმიის შემადგენლობაში პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915-1916 წლებში. 1918 წლის 2 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი რეორგანიზაციის თაობაზე.

კანონის მიღების შემდეგ, სახალხო გვარდია გადაიქცა სახელმწიფოებრივ შეიარაღებულ ძალად, რომლის დაფინანსება ბიუჯეტიდან ხდებოდა. 20 აგვისტოს პარლამენტმა დაამტკიცა ძირითადი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ“. ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს არ გააჩნდა საკმაო სახსრები მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალების შესაქმნელად.

საქართველოს მუდმივი არმიის შემადგენლობა 30-40 ათას ჯარისკაცს არ აღემატებოდა. 1918 წლის 20 აგვისტოს მიღებული კანონი – „საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ“, განსაზღვრავდა მუდმივი ჯარის სტრუქტურას, ცალკეულ სახეობათა შემადგენლობას. დასახელებული კანონის პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის რეგულარულ ჯარში შედიოდა ორი ქვეითი დივიზია, სანაპირო ჯარი, ერთი საკავალერიო ბრიგადა, ერთი საარტილერიო ბრიგადა, მესანგრეთა ერთი ბატალიონი, ერთი საავტომობილო ასეული, ჯავშნოსანი მატარებლის ერთი ასეული, ერთი საავიაციო გუნდი. ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნა და გაძლიერება მოიაზრებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად, რაც შესანიშნავად ესმოდა ხელისუფლებას, აგრეთვე რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებულ პატრიოტულად განწყობილ ქართველ სამხედრო ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომლებიც ენერგიულად შეუდგნენ ქართული ჯარის

ჩამოყალიბებას. სამშობლოში დაბრუნებული გიორგი მაზნიაშვილი თავს არ ზოგავდა სამშობლოს უსაფრთხოების დასაცავად. ჯერ კიდევ 1917 წლის 19 ნოემბერს, ქართველ ოფიცერთა დახმარებით, ეროვნულმა საბჭომ, ამიერკავკასიის კომისარიატმა და თბილისის საბჭომ ბოლშევიკ ჯარისკაცთა გარნიზონს არსენალი ჩამოართვეს, დეკემბერში კი, ისიც შეძლეს, რომ თურქეთის ფრონტიდან უწესრიგოდ დაბრუნებულ ჯარისკაცთა ბობოქარი მასა თბილისის გაუვლელად გაგზავნეს რუსეთში და ასე იხსნეს ამიერკავკასიის კომისარიატი დამხობისაგან, ხოლო საქართველოსა და ამიერკავკასიის დედაქალაქი – რუსეთის არმიის ოკუპაციისაგან. ამ დიდი საფრთხის თავიდან აცილების საქმეში ფასდაუდებელია გენერალ გიორგი მაზნიაშვილის დამსახურება, რომლის უშუალო მონაწილეობით განხორციელდა თბილისის უსაფრთხოების ოპერაცია.

გენერალი მაზნიაშვილი გამოირჩეოდა გამბედაობითა და სიმამაცით. ქართველთათვის დამახასიათებელი შემართება და მხედრული სული მას გენეტიკურად წინაპართაგან ჰქონდა მომადლებული. აკი საგანგებოდ მიუთითებდა ვახუშტი ბაგრატიონი ქართველთა შეუდარებელ მხედრულ თვისებებზე. იგი წერდა, რომ ქართველები არიან „მხნენი, მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი, მსწრაფლნი. სალაშქროთა შინა ახოვანნი, ამაყნი, ლაღნი და სახელის მაძიებელნი...“

გენერალი მაზნიაშვილი შეუდრეკელი მხედრული სულის პატრიოტი იყო. მისთვის შიშის გრძნობა საერთოდ უცხო იყო. იბრძოდა გმირული შემართებით, ვაჟკაცურად და მამაცობით ალაფრთოვანებდა თანამებრძოლებს. იგი ყოველთვის წინ მიუძღოდა ქართულ მხედრობას, იღებდა მტრის პირველ დარტყმას და ელვისებური შეტევით შიშის ზარს სცემდა მოწინააღმდეგეს.

„მოგონებებში“ გენერალი მაზნიაშვილი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ქართველი ახალგაზრდობის სანიმუშო სამსახურზე ქართულ დივიზიაში, აღნიშნავს, რომ ახალგაზრდობა მონდომებით და მხნედ ეწეოდა მხედრულ სამსახურს. მათ სამშობლოს დაცვა, ეროვნულ არმიაში სამსახური პატრიოტულ და საპატიო მოვალეობად მიაჩნდათ.

ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, იმპერიის არმიაში მყოფი ჩვენი ოფიცრების უმრავლესობა მხარს უჭერდა იმ ქართველ პოლიტიკოსებს და პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ ქართველ ტყვეთა გასათავისუფლებლად, ტყვეებისაგან ეროვნული სამხედრო ფორმირებების შესაქმნელად. ამ პატრიოტულ საქმეში ქართველი ოფიცრობა გარკვეულ წარმატებებს აღწევდა. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ სპეციალური „მოწოდება“ შეადგინა, რომლითაც მოუწოდებდა ქართველ სამხედრო ტყვეებს ქართულ რაზმებში გაერთიანებისაკენ, გერმანიის ჯარებთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად. მოწოდებას, რომლის სათაურია „ქართველებო“, მივაკვლიეთ ცენტრალურ საისტორიო არქივში. მოწოდება გაუვრცელებიათ ავსტრია-უნგრეთში, რუსეთის არმიის ტყვეთა შორის. მოწოდებაში აღნიშნულია: „... ქართველებო, იმის მაგიერ, რომ ხელში

გვეჭიროს რუსული მახვილი და ვემსახუროთ (მათ) სახელმწიფოს – ჩვენი და მთელი კაცობრიობის მტერს - ისარგებლეთ შემთხვევით და ჩაეწერეთ ქართულ რაზმებში... შესაძლოა თქვენ გაწუხებთ ფიცი, რომელიც მიეცით რუს იმპერატორს, მაგრამ თვით რუსი იმპერატორები არიან ფიცის გამტეხნი. საქართველოსთან 1783 წლის ტრაქტატის დამრღვევნი, საქართველოს პოლიტიკური სახელის წამშლელნი... ჩვენ, როგორც სახელმწიფო, ვებრძვიტ რუსეთს და მოგიწოდებთ თქვენც სამშობლოს ერთგული სამსახურისაკენ. თქვენი სამშობლო საქართველოა და არა რუსეთი. გაუმარჯოს თავისუფალ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოს! გაუმარჯოს ქართულ სახელმწიფოს, ძირს ტირანები, რომლებმაც გააპარტახეს საქართველო ასწლიანი ბატონობის დროს! დაე, თითოეული ქართველი იქცეს გმირად ამ ბრძოლაში. სჯობს სამარცხვინო სიცოცხლეს ტყვეობაში, ამჯობინოთ მშობლიურ ველზე სიკვდილი!“

ვფიქრობთ, ისეთი სამაგალითო მამულიშვილი, როგორც გენერალი მაზნიაშვილი გახლდათ, სხვა მაღალი რანგის ქართველ ოფიცრებთან ერთად ამ პატრიოტულ მოწოდებას გაიზიარებდა.

გამოჩენილ მხედართმთავარს, რომელსაც ურიცხვ მტერთან ქართველი ხალხის გმირული ბრძოლები ჯეროვნად ჰქონდა შესწავლილი და გაანალიზებული, კარგად ჰქონდა შეთვისებული ქართული ჯარის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ქართველი მეომრის ფსიქოლოგია. გენერალმა, საქართველოს ომების ისტორიიდან შესანიშნავად იცოდა, რომ ქართველთა წარმატება ბრძოლაში დამოკიდებული იყო უპირატესობის მოპოვებაზე პირველივე შეტაკების დროს, ბრძოლის დასაწყისშივე.

ქართველი სარდალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ითვალისწინებდა ქართველთა მხედრულ თვისებებს და ფსიქოლოგიას.

„მოგონებებში“ იგი საგანგებოდ აღნიშნავდა: „მე კარგად მქონდა შესწავლილი ფსიქოლოგია ქართველი მეომრებისა, კარგად ვიცოდი, რომ თუ გაუძლებდი მტრის პირველ იერიშს, ჩემი ჯარები იბრძოლებდნენ ბოლომდე, მაგრამ თუ პირველ შეტაკებისთანავე შედრკებოდნენ, მაშინ გამეორდებოდა ძველი ისტორია და იძულებულ გავხდებოდი დამეხია უკან და კვლავ დამეწყო, გაფანტული ჯარის შეგროვება“.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით თურქებმა დაიკავეს ქალაქი ბათუმი, ბათუმის ოლქი, ანუ მთელი აჭარა. ოკუპანტებმა ოზურგეთამდე მიაღწიეს. ნოე ჟორდანიას დავალებით გენერალმა მაზნიაშვილმა დიდი მუშაობა გასწია თურქების გასადევნად და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. მხედართმთავრის ძალისხმევით, მალე ოკუპანტებისაგან გათავისუფლდა გურია და აჭარა. ფასდაუდებელია გენერალ მაზნიაშვილის დამსახურება ბოლშევიკების მოსალოდნელი აგრესიისაგან აფხაზეთის დაცვის საქმეში. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს ლიდერები ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე შეხვდნენ აფხაზეთა სახალხო საბჭოს წარმომადგენლებს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ აფხაზეთი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში მიიღებდა პოლიტიკურ ავტონომიას და ცენტრალურ

ხელისუფლებასთან ერთად შეეცდებოდა აღდგენილიყო სუვერენული უფლებები გაგრის რაიონზე, რომელიც რუსეთმა ჩამოაჭრა სოხუმის ოლქს და მიუერთა ნოვოროსიის გუბერნიას. აფხაზეთში მომუშავე ბოლშევიკებმა შექმნეს შეიარაღებული ფორმირება, დაიხმარეს პროსაბჭოურად განწყობილი ჩრდილო კავკასიელები და სოხუმში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ამოქმედდნენ აფხაზი სეპარატისტებიც.

იმის გამო, რომ სამშვიდობო მოლაპარაკება თურქეთთან უშედეგოდ დასრულდა, საქართველოს შეიარაღებული ძალები შეტევაზე გადავიდნენ. 1918 წლის 6 აპრილს, ჩამოყალიბების პროცესში მყოფმა ქართულმა ჯარმა, ჩოლოქთან ბრძოლაში დაამარცხა თურქები, რომლებიც ბათუმის აღების შემდეგ მთელი დასავლეთ საქართველოს დაკავებას ცდილობდნენ. ქართული ჯარის საბრძოლო ოპერაციებს გენერალი გიორგი მაზნიაშვილი ხელმძღვანელობდა. აპრილის შუა რიცხვებში გენერლის შტაბში, სოფელ ნატანებში მივიდა აფხაზთა დელეგაცია სოხუმიდან და სთხოვა გიორგი მაზნიაშვილს, ქალაქი სოხუმი და მთელი აფხაზეთი გაეწმინდა ბოლშევიკებისაგან. გენერალმა აფხაზთა დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ქალაქის თავი და აფხაზეთის ეროვნული საბჭოს სამი წევრი, განუცხადა, რომ მათი თხოვნის დაკმაყოფილება საქართველოს მთავრობის კომპეტენციას შეადგენს. შემდეგ, აფხაზი დელეგატები თბილისში გაემგზავრნენ ცენტრალურ მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. მთავრობამ გენერალ მაზნიაშვილს დაავალა თავისი ჯარიდან გამოეყო ცალკე რაზმი და გაეგზავნა აფხაზეთში ბოლშევიკების განსაღებად.

1918 წლის 16 ივნისს გენერალთან კვლავ მივიდნენ აფხაზეთის ეროვნული საბჭოს დელეგატები დახმარების თხოვნით, რადგან ბოლშევიკები მეორედ შეიჭრნენ აფხაზეთში. ქართველი გენერლის რჩევით, აფხაზთა დელეგაცია ისევ თბილისში გაემგზავრა საქართველოს მთავრობასთან კონსულტაციების გასამართავად. 18 ივნისს გენერალი მაზნიაშვილი, მთავრობის გადაწყვეტილებით, დაინიშნა აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და შავი ზღვის სანაპირო ჯარების უფროსად. ამ დანიშვნით ქართველი გენერალი რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპიროზე დისლოცირებული სასაზღვრო ძალების სარდლის თანამდებობასაც ითავსებდა. დრო არ ითმენდა, საჭირო იყო გადამჭრელი ზომების მიღება „წითლების“ განსაღებად. გენერალ მაზნიაშვილის ენერგიული საქმიანობის შედეგად, მოხერხდა ძალთა მობილიზება აფხაზეთის გასათავისუფლებლად ბოლშევიკი აგრესორებისაგან. გენერალმა მაზნიაშვილმა ბრძოლით განვლო სოჭის, ტუაფსეს რაიონები. სამურზაყანო კი გენერალ გედევანიშვილის რაზმებმა დაიკავეს. 1918 წლის სექტემბერში აფხაზეთში აღდგა საქართველოს იურისდიქცია. ამ დიდმა და მნიშვნელოვანმა სამხედრო გამარჯვებებმა, რომელიც მოიპოვა ქართულმა ჯარმა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სარდლობით, საქართველოს მთავრობა გაახარა, თუმცა ნოე ჟორდანიამ უცხოეთის სახელმწიფოთა საყურადღებოდ გააკეთა საგანგებო განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ტერიტორიების შემოერთება საქართველოს მთავრობის გეგმაში არ შედის, საქართველოს შეიარაღებული ძალები ტუაფსემდე ქვეყნის დაცვის, მისი ტერიტორიული მთლიანობის

შენარჩუნების, ბოლშევიკებისაგან მომდინარე საფრთხის თავიდან აცილების საჭიროებამ მიიყვანა.

მთავრობის დიპლომატური სიფრთხილე იყო ის მიზეზი, რომ ქართული ჯარის ეს წარმატებული ლაშქრობა არ გახმაურებულა. მხოლოდ 1918 წლის 4 ოქტომბერს გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოში“ მცირე ინფორმაცია სათაურით – „შავი ზღვის პირის ჩვენი ჯარის ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი“. ნიკო თავდგირიძის მიერ სოხუმიდან გაგზავნილი ამ კორესპოდენტით შეიტყო ქართულმა საზოგადოებამ გენერალ გიორგი მაზნიაშვილის რაზმების მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციების შესახებ.

„სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, – წერს ავტორი, – რომ ამ ჯარმა გენერალ მაზნიაშვილის მთავარსარდლობით და ჩვენი მამაცი ოფიცრების: ჭკადუას, დონდუას, იაშვილის, გოგიტიძის, დოლიძის, ანთაძის გაბედულობის მეოხებით ჩვენს ხალხს აღუდგინა სამხედრო საქმეში ძველებური სწორუპოვრობის სახელი.“ კორესპოდენტი სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ საქართველომ და მისმა მთავრობამ სათანადოდ ვერ დააფასა ყუბანის ველზე გაჭრილი ქართველი ოფიცრებისა და ჯარისკაცების გმირობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ გამოცდილი გენერალი ყოველთვის იგზავნებოდა ყველაზე „ცხელ წერტილებში“, იქ, სადაც სამშობლოს ყველაზე მეტად უჭირდა. მეზობელი სომხეთის ქართული ტერიტორიებისადმი უსაფუძვლო პრეტენზიების გამო, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. სომხეთის მხრიდან მოსალოდნელი ომის დაწყებასთან დაკავშირებით, თბილისის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, გენერალი მაზნიაშვილი 1918 წლის ოქტომბერში თბილისის ოლქის გენერალ-გუბერნატორად ინიშნება, 1918 წლის დეკემბერში კი – სომხეთის წინააღმდეგ მოქმედი ჯარის სარდლად. ქართული ჯარის წარმატებები ამ ომში მნიშვნელოვანწილად განაპირობა გენერალ მაზნიაშვილის უმუშაო ხელმძღვანელობით განხორციელებულმა სამხედრო ოპერაციებმა.

სომხებისათვის ინგლისელთა გარკვეული მხარდაჭერის გამო, სომხეთთან ომში მიღწეული გამარჯვების შედეგებით, საქართველოს ფაქტობრივად, არაფერი შემატებია. მოწინააღმდეგეთა ჯარების დაშორიშორების საბაბით იქმნებოდა ე. წ. ნეიტრალური ზონა, რომელსაც ინგლისელები აკონტროლებდნენ. ამის მიუხედავად, გამარჯვების მნიშვნელობა მაინც დიდია. გამარჯვებამ დადებითი მუხტი შემატა ქართული ჯარის საბრძოლო პოტენციალის შემდგომ გაძლიერებას. აამაღლა ჩვენი შეიარაღებული ძალების საბრძოლო სულისკვეთება, დაარწმუნა აგრესორი იმაში, რომ ქართული მიწა-წყლის ძალით მიტაცების მცდელობა ძვირად დაუჯდება. ამ გამარჯვების სული და გული ბრძოლებში გამოწრთობილი სარდალი, გულმხურვალე მამულიშვილი, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი გახლდათ. ამასობაში სახელმწიფოს სერიოზული პრობლემები შეექმნა მესხეთში.

საქართველოს სიძულვილით აღვსილმა ბეგებმა* სასწრაფოდ შექმნეს ყარსში ე. წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ მთავრობა და ამ საქმეს ერთ-ერთი ორგანიზატორი სერვერ-ბეგ ათაბაგი, ქობლიანელი, ჯაყელი** იყო. ამ

ახლად შექმნილ „სახელმწიფოში“ უნდა გაერთიანებულიყო ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქები, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები. ვინ იყვნენ ბეგები? ბეგები იყვნენ გამაჰმადიანებული ქართველი წარჩინებულები, თავადები და დიდმოსხლეები – ომარ-ფაიკ ნამინ ზადე, ახმედ-ბეგ ფეფენოვი, სერვერ-ბეგ ათაბაგი, თემურ ხიმშიაშვილი**, ბახრი-ბეგ ერისთავი**, ბახში-ბეგ მაჩაბელი**, მუსაკიევი**, ყაჯარი, მათ გადაიბირეს ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანები, შეაიარაღეს და შექმნეს მოზრდილი ბანდები. ამის შემდეგ, დაერივნენ თავიანთ ქრისტიან ძმებს.

რუსეთის სიძულვილითა და პანისლამისტურ-პანთურქული იდეოლოგიით დაბრმავებული ქართველი მაჰმადიანები თურქეთმა ქრისტიან ქართველებზე აამხედრა. ეს იყო ერთი დიდი ტრაგედია საქართველოსთვის.

ანალიზებს რა მომხდარ ფაქტს, შალვა მალლაკელიძე წერილში, „ნაწყვეტი ახლო წარსულიდან – მესხეთის გარშემო“ წერს, რომ ქართველი მაჰმადიანების ჩათრევა ამ საქმიანობაში იმით იყო გამოწვეული, რომ ქართველ მაჰმადიანებს რუსეთი ეზიზღებოდათ, ხოლო ქართული ეროვნული პროპაგანდა მესხეთში ძალიან სუსტი იყო. ფაქტიურად, არც კი არსებობდაო – ამბობს იგი და დასძენს: „სომხები და მაჰმადიანები დაპირისპირებული იყვნენ და მათ შემრიგებელ როლს ქართველობა თამაშობდა, მაგრამ როცა საქმე ქართველობას ეხებოდა, სომხები და მაჰმადიანები, შეკავშირებულნი, მის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ეს მოვლენა მეტად მნიშვნელოვანი, დამაფიქრებელი და საშიშიც იყო, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ და საკუთარი სახელმწიფოს შექმნამ, მაჰმადიანთა გული თბილისისაკენ მოაბრუნა და საქართველოს მთარობას რომ სათანადო და წესიერი პოლიტიკა ეწარმოებინა ამ მხარეში, ჩვენ ავცდებოდით მაჰმადიანთა მეორე დიდ აჯანყებას (1919 წ.), რომელიც სერვერ-ბეგ ათაბაგის ხელმძღვანელობით მოხდა“.

ვეთანხმებით შალვა მალლაკელიძის დასკვნას, იგი სავსებით სწორად აფასებს ქართველ მაჰმადიანებთან დაკავშირებულ პრობლემას, აქვე დავუმატებთ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის შეცდომები ქართველი მაჰმადიანების მიმართ, ბოლშევიკურმა მთავრობამაც განაგრძო. შედეგები ყველამ კარგად ვიცით, მის სავალალო ნაყოფს დღესაც ვიმკით.

1918 წლის დეკემბერში, მსოფლიო ომის ზეგავლენით, ოსმალეთის მდგომარეობაც შეიცვალა და ის იძულებული გახდა დაეცალა მესხეთის დაკავებული ტერიტორიები, 1918 წლის 4 დეკემბერს გენერალ ბალო მაყაშვილს** დაევალა ქართული ჯარი შეეყვანა ამ მხარეში. მაგრამ სულ მალე 1919 წლის 20 იანვარს დაიწყო მაჰმადიანთა მეორე აჯანყება სერვერ-ბეგ ათაბაგის მეთაურობით. აჯანყებულმა ბეგებმა 21 იანვარს გენერალ მაყაშვილს ულტიმატუმი წაუყენეს; რომლის თანახმად, მას სამ დღეში უნდა დაეცალა ახალციხე; ბეგები გენერალმა საკადრისი პასუხით გაისტუმრა. აჯანყების დაწყებამდე კი სერვერ-ბეგი აწყურში გენერალ მაყაშვილს ესტუმრა და განუცხადა, რომ იგი არ ცნობს საქართველოს მთავრობას და რომ მას ჰყავს საკუთარი მთავრობა, „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ტერიტორიის“ მთავრობის სახით. გენერალმა მაყაშვილმა უპასუხა, რომ იგი მხოლოდ თავისი მთავრობის

განკარგულებებს ასრულებს, არ სცნობს არავითარ ახალ ხელისუფლებას, არ სცნობს სერვერ-ბეგს და მან იცის: ოსმალებმა დაცალეს ახალციხე-ახალქალაქი საქართველოსთვის გადასაცემად.

სამწუხაროდ, ამ აჯანყებაში თითქმის ყველა მაჰმადიანი ჩაერთო და მან მთელი მხარე მოიცვა. დაიწყო ადგილობრივი ქართველი ქრისტიანების ხოცვა-ჟლეტა. აჯანყებამ ასეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მიუხედავად გენერალ მაყაშვილის მრავალმხრივი ღონისძიებებისა, აჯანყების შეჩერება შეუძლებელი გახდა, ამის მიზეზი კი ქართველი ჯარის სისუსტე იყო. ქართველი ჯარი მრავალწლიანი ბრძოლების შედეგად დასუსტებული და დაუძლურებული იყო და მიუხედავად მაყაშვილის მრავალი თხოვნისა, ახალციხეში გამოეგზავნათ ახალი მაშველი ძალა, მთავრობამ ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა ეს სამართლიანი და სასიცოცხლო მნიშვნელობის მოთხოვნა. საქმეს ართულებდა ისიც, რომ აჯანყებულ მაჰმადიანებს ზურგს უმაგრებდა ოსმალეთი, რომელიც აშკარად და დაუფარავად ეხმარებოდა მათ. მიუხედავად ყოველივე ამისა, გენარალი ბალო მაყაშვილი აქტიურად განაგრძობდა ახალციხის დაცვას და ოსმალო ოფიცერ-ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით შემდგარმა ადგილობრივმა მაჰმადიანების რაზმებმა ერთხელაც ვერ შეძლეს ახალციხის დაკავება.

„30 იანვარს (1919), განთიადისას ჩვენმა ჯარმა შეუტია აჯანყებულებს. შეტევა დაიწყო სოფელ ადიგენ-უდისა და ვალე-წყალთბილას მიმართულებით. მთელი დღე მოისმოდა ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევეების განუწყვეტლივი ხმა. შუადღისას აჯანყებულთა 2-3 სოფლიდან ავარდა კვამლი. ალბათ ჩვენმა ზარბაზნებმა გაუჩინეს ცეცხლი. უშენდნენ ზარბაზნებს სოფელ უდის მხრიდან: ნათლად ჩანს, რომ ჩვენი ჯარი კარგად წინ იყო შეჭრილი და ამიტომ ყველა იმედს გამოთქვამდა, რომ გამარჯვება ჩვენს მხარეზეა და ღამეც მშვიდობიანად ჩაივლიდა“, წერდა იმდროინდელი პრესა. მაგრამ ნაჩქარევი აღმოჩნდა ეს სიხარული, მდგომარეობა საწინააღმდეგოდ შეტრიალდა, აჯანყება მოედო მთელ მხარეს, ბეგებმა შეძლეს მთელი მაჰმადიანური მოსახლეობის გადაბირება, რის გამოც, მათი ძალები მკვეთრად აღემატებოდა დამცველთა ძალებს.

რენეგატთა ჯგუფი, რომელშიც ავტორიტეტითა და გავლენით გამოირჩეოდა ჯაყელთა გვარის დეგრადირებული შთამომავალი სერვერ-ბეგ ათაბაგი, სამცხე-ჯავახეთის საქართველოდან ჩამოშორებას ლამობდა. 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სერვერ-ბეგის თავმჯდომარეობით შეიქმნა ე. წ. „მუსულმანური მთავრობა სამხრეთ ამიერკავკასიისა“. ათაბაგთა გადაგვარებული შთამომავალი, თავდაუზოგავად „იღვწოდა“ დანარჩენი საქართველოსაგან სამცხე-ჯავახეთის ჩამოსაშორებლად. ამ „მთავრობამ“ საქართველოს ხელისუფლებას მიმართა ნოტით, რომლითაც ითხოვდა საქართველოს რესპუბლიკისა და ამ თვითგამოცხადებულ „სახელმწიფოს“ შორის საზღვრების დადგენას. ამ ე. წ. მთავრობამ, რომელიც თურქეთის მითითებით მოქმედებდა, 1918-1919 წლებში მოაწყო შეიარაღებული გამოსვლები. სისხლისმღვრელი შეტაკებები სამთავრობო ჯარებსა და სერვერ-ბეგის ბანდებს შორის ფართო მასშტაბს იღებდა საზღვრისპირა რეგიონში.

შექმნილი მძიმე მდგომარეობა საგანგებოდ იქნა განხილული რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე 1919 წლის 18 იანვარს. „სხდომას ესწრებოდნენ: მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას, მინისტრები: რამიშვილი, გეგეჭკორი, ჟურული, ლორთქიფანიძე, გიორგაძე. ა) მოისმინეს: მოხსენებანი სამხედრო მინისტრისა; ბ) ახალციხის მაზრაში რესპუბლიკის სანაპირო რაზმთან შეტაკების შესახებ. დაადგინეს: დაუყოვნებლივ იქნას მიღებული სამხედრო უწყების მიერ ენერგიული ზომები რესპუბლიკის საზღვრების დაცვისა და გამაგრებისა“. ბანდიტური გამოსვლები სამცხე-ჯავახეთში, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ერთი მხრივ, თურქეთის მთავრობა, ხოლო მეორე მხრივ, თეთრგვარდიელები, რეალურად გახლდათ „რენეგატი ბეგების შეთქმულება საკუთარი ხალხის წინააღმდეგ,“ მართებულად მიუთითებს ქართული ემიგრანტული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი მეცნიერი ვიქტორ ნოზაძე.

სერვერ-ბეგის მოძრაობას, რომელიც მიმართული იყო საქართველოს წინააღმდეგ, „შეეძლო დიდი საფრთხე შეექმნა საქართველოსათვის, და ამიტომ ქართველი წრეები შეეცადნენ მისთვის საფუძველი გამოეცალათ თვით ხალხის შემწეობით – საქართველოსათვის პროპაგანდის გაწევით და 1 იანვარს 1919 წელს ახალციხის გლეხთა ყრილობამ მისალმება გაუგზავნა საქართველოს მთავრობას და ამასთანავე მოუწოდა დანარჩენ სამუსლიმანო საქართველოს შემდეგი სიტყვებით: „ახლა, როდესაც საქართველოს გაუერთიანდა მუსულმანური საქართველოს ერთი ნაწილი, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების სახით, დადგა საკითხი დანარჩენი მუსულმანური საქართველოს: აჭარის, ქობულეთის, არდაგანის და შავშეთის განთავისუფლების შესახებ...“ საჭირო იყო გადამჭრელი ზომების მიღება სეპარატისტულად განწყობილი ბანდიტური დაჯგუფებების ასალაგმავად. რეგიონში შექმნილ რთულ ვითარებასთან დაკავშირებით, გაიმართა მთავრობის საგანგებო სხდომა, რომელიც შედგა 1919 წლის 30 იანვარს. მოისმინეს: მოხსენებანი სამხედრო მინისტრისა: ა) ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში სამხედრო წესების გამოცხადების შესახებ. დაადგინეს: აღნიშნული მაზრების გენერალ-გუბერნატორად დაინიშნოს გენერალი მაზნიაშვილი, რომელსაც დაექვემდებაროს ყველა სამხედრო და სამოქალაქო პირი და დაწესებულებანი ზემოხსენებული რაიონებისა“. როგორც საარქივო დოკუმენტიდან ჩანს, გენერალ მაზნიაშვილს ამ საზღვრისპირა რეგიონში დისლოცირებული სასაზღვრო ძალებიც დაექვემდებარა.

1919 წლის პირველ თებერვალს ფრონტის ხაზი ახალციხეს მიუახლოვდა 5-6 კილომეტრით, რის გამოც, ქალაქის მოსახლეობა შიშს მოუცავს. ამავე დღეს, ქართველმა მაჰმადიანებმაც ხელში აიღეს იარაღი და აჯანყებულთა მხარეზე გადავიდნენ, დაიკავეს აბასთუმანი, დახოცეს ქართველები და გააღეს გზა ზეკარზე. მაჰმადიანურ მოსახლეობას სათავეში ადგილობრივი ბეგები ჩაუდგნენ, მაგრამ მათ ზურგს აშკარად თურქეთი უმაგრებდა. ნოე ჟორდანიას სიტყვით, სერვერ-ბეგის განკარგულებაში იყო ათასი თურქი ასკერი*.

ახალციხიდან წასვლისას, თურქეთის წარმომადგენლებმა ადგილობრივ მაჰმადიანებს დაურიგეს უამრავი იარაღი, ტყვია-წამალი. ასევე, წვრთნიდნენ მაჰმადიანურ მოსახლეობას.

აჯანყებულებს ეხმარებოდა ბათუმში მყოფი ინგლისელი გენერალი უოკკერი**, რომელიც ორმაგ თამაშში ჩაება ჟორდანიათან და სერვერ-ბეგთან.

ქართული ჯარის წარუმატებლობის გამო, ახალციხე-ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორი ბალო მაყაშვილი გადააყენეს და მის ნაცვლად დანიშნეს გენერალი გიორგი მაზნიაშვილი.

2 თებერვალს ახალციხეში თავისი შტაბით ჩამოვიდა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. იმავე დღეს, მან გამოაცხადა სამხედრო წესები, საღამოს 7 საათის შემდეგ ქალაქში სიარული აიკრძალა. აჯანყებულებმა კი სოფელ არალში დარჩენილი ქართველები დახოცეს და გაძარცვეს ქართველ კათოლიკეთა ეკლესია.

გენერალ გიორგი მაზნიაშვილის გენერალ-გუბერნატორად დანიშნას, პირველ ხანებში, ქართული ჯარის ერთგვარი წარმატება მოჰყვა. 9 თებერვალს ახალციხის ჩრდილო-დასავლეთით ქართულმა ჯარმა დაიკავა სოფელი ჩურჩუტო და ზანდოს მალღობები, რომელიც გადასცქერის მთელ ქობლიანსა და აბასთუმნის ხეობას. ამდენად, ამ ადგილებს სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. სამწუხაროდ, აჯანყებულთა შეტევის გამო, ქართულმა ჯარმა ვერ შეინარჩუნა ეს პოზიციები და კვლავ იძულებული გახდა უკან დაეხია. ამავე დროს, ქართულმა ჯარმა უკან დაიხია ვალე-წყალთბილას ხაზიდანაც და რაბათის (ახალციხის) მისადგომებთან, ზანდოს მალღობებიდან წამოსულ ჯარს შეუერთდა.

გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა სწორად შეაფასა ქართული ჯარის წარუმატებლობის მიზეზები და მთავრობისაგან დაჟინებით მოითხოვა ახალციხეში არსებული ჯარის ნაწილების გაყვანა და მათ ნაცვლად ახალი, ამავე დროს, რიცხობრივად მეტი და უფრო ბრძოლისუნარიანი ნაწილების გამოყვანა.

აჯანყების პერიოდში, როცა ქართულმა ჯარმა უკან დახევის გამო დატოვა ტერიტორიები, ქართველ ქრისტიანთა მდგომარეობა აუტანელი გახდა. აჯანყებულებმა თითქმის ყველა ქართული სოფელი დაარბიეს, გაძარცვეს, ააწიოკეს. ისინი მოედნენ ქრისტიანულ სოფლებს, არ ინდობდნენ არაფერს, ასობით ადამიანი დახოცეს, იტაცებდნენ ყველაფერს, შემდეგ კი წვავენ მათ სახლ-კარს, ქართველი მოსახლეობა მასობრივად ტოვებდა სოფლებს და გარბოდა ქალაქში. ახალციხე გაივსო ლტოლვილებით, რომლებსაც არ გააჩნდათ ცხოვრების ელემენტარული პირობები. იყო სიბინძურე, შიმშილი, გაჩნდა ეპიდემია, რომელმაც მრავალი ადამიანი იმსხვერპლა.

ქართული ჯარის ნაწილებმა, სამწუხაროდ, უწესრიგოდ დაიწყეს პოზიციებიდან ახალციხისაკენ უკან დახევა. ხელმძღვანელობა ბევრს ეცადა, მაგრამ პანიკაში ჩავარდნილი ჯარისკაცების შეჩერება შეუძლებელი გახდა.

ასეთი რთული და გამოუალი სიტუაციიდან გამომდინარე, გადაწყვიტეს დროებით დაეტოვებინათ ახალციხე და აჯანყებულთა მიერ დაკავებული ტერიტორია.

მოსახლეობას თავზარი დასცა ქართული ჯარის მიერ ახალციხის დატოვებამ. ქართველობა მოიცვა პანიკამ და შიშმა. ისინი იძულებულნი გახდნენ მიეტოვებინათ მშობლიური კერა და ჯარს გაჰყოლოდნენ უკან.

ამ ამბების მომსწრე ზაქარია დიდიმამიშვილი, თავის ღლიურში შეშფოთებას გამოთქვამს ქართული ჯარის მიერ ახალციხის დატოვების გამო: „11 თებერვალი (1919 წ.). ამის გაგონებაზე (იგულისხმება ქართული ჯარის უკან დახვევა, ც. ჩ.), თითქმის მეხი დაგვეცა, ატყდა ალიაქოთი; მართლაც ჯარი იხევს ბორჯომისაკენ, ქართველების წივილ-კივილს საზღვარი არა აქვს, ვინც რა მოასწრო, მოჰკიდა ხელი და ჯარს გამოეკიდა. ბინდებოდა, მდგომარეობა ჯოჯოხეთურია, ჩვენი ჯარი ისე სწრაფად გავიდა ახალციხიდან, რომ რაბათელმა ქართველებმა არ იცოდნენ, საით წასულიყვნენ; საღამოს 7 საათია, რაბათში ერთი მანდილოსანი და ბავშვი აღარ არის. ისინი გაიკრიფნენ ქალაქის გარე ნაწილში. ბევრი მამაკაცი გავიდა ახალ უბანში და ამნაირად ზოგი მამაკაცი დარჩა რაბათში თავისის ქონების და სახლ-კარის დასაცავად. ზოგმაც ღმერთის ანაბრად მიატოვა კერა და გაჰკურცხლა“.

ქართული ჯარი გავიდა თუ არა, საპატიმროდან გათავისუფლებული ქურდები დაერივნენ უპატრონოდ დარჩენილ რაბათს, გაქურდეს რამდენიმე სახლი, დედათა სასწავლებელი, დაამტვირიეს საფეიქრო დაზგები, წაიღეს მოსწავლეების მიერ დამზადებული ნივთები; რის წაღებაც ვერ მოასწრეს, ცეცხლი წაუკიდეს. მათ გაქურდეს აგრეთვე სახელმწიფო საწყობები და სხვა.

შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, 1919 წლის 11 თებერვალს, ღამით ბორჯომში მოვიდა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას და სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე, რომლებმაც მოისმინეს ახალციხე-ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორის გიორგი მაზნიაშვილის მოხსენება აჯანყების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგების შესახებ. მათ დასახეს ღონისძიებანი აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

მაგრამ ამ პერიოდისათვის, უკვე ყველაფერი უშედეგო იყო. აჯანყებულები გამარჯვებას ზეიმობდნენ. ქართული ჯარი, რომელმაც დროზე ვერ მიიღო ახალი შევსება, იძულებული იყო დაეტოვებინა ახალციხე. მაშინდელ რთულ და დაძაბულ სიტუაციაში, საქართველოს მთავრობას არ შეეძლო დამხმარე სამხედრო ძალები მიეშველებინა ახალციხისათვის. თუმცა, სიტუაციის ამგვარ წარმართვაში, მთავრობასაც მიუძღვის გარკვეული წვლილი.

გენერალ-გუბერნატორი და ჯარის სარდალი გიორგი მაზნიაშვილი გადააყენეს და მის ნაცვლად გენერალი გიორგი კვინიტაძე დანიშნეს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მთავრობამ, მოწყობილი აჯანყების შემსწავლელი კომისია სერვერ-ბეგის ხელმძღვანელობით შეადგინა და ახალციხეში გააგზავნა, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 4 აპრილს მოისმინა ამ კომისიის

თავმჯდომარის, გიზო ანჯაფარიძის მოხსენება. მან მკაფიოდ და ნათლად ჩამოაყალიბა აჯანყების გამომწვევი მიზეზები:

1. ჯერ კიდევ რუსეთის ბატონობის დროიდან ოსმალები სამუსულმანო საქართველოში ფართოდ აწარმოებდნენ პანისლამურ, პანთურქულ, ანტიქართულ აგიტაციას, აქ მოქმედებდნენ ოსმალეთის ემისრები, დიდძალი ფული იხარჯებოდა იმისთვის, რომ ოსმალეთის სასარგებლოდ ნიადაგი მომზადებულიყო. ოსმალეთის მთავრობის პოლიტიკის წყალობით, ცდილობდნენ, არ დაეშვათ მაჰმადიან ქართველებში ქართული ორიენტაცია, პანთურქული აგიტაცია განსაკუთრებით გამოცოცხლდა პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე. ანტიქართულ საქმიანობაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ბაქოს ე. წ. „მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოების“ წარმომადგენელი, რომლებიც ფართო მუშაობას აწარმოებდნენ ბათუმსა და ყარსის ოლქებში, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში. ეს „მოღვაწეები“ საქველმოქმედო მუშაობის საბაბით, აშკარად პანთურქულ და ანტიქართულ აგიტაციას ეწეოდნენ. ამ მუშაობას მეთაურობდა კარგად ცნობილი ექიმი სულთანოვი. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრის უფროსები აშკარად დადიოდნენ ხალხში და პირდაპირ აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ.

თუმცა ადგილობრივი ქართული მაჰმადიანობა გულგრილად ეკიდებოდა ასეთ აგიტაციას, მაგრამ მათზე დიდი გავლენა მოახდინა ზოგიერთმა გადაგვარებულმა ელემენტმა, კერძოდ, მაჰმადიანმა ბეგებმა – ომარ ფაიკმა (ყოფიანი), სეიმის ყოფილმა წევრმა ახმედ ფეფენოვმა (ფიფინაშვილი), სერვერბეგ ათაბაგმა (ჯაყელი), სხვა ადგილობრივმა მსხვილმა მემამულეებმა.

2. გ. ანჯაფარიძის აზრით, ბეგებზე ცუდად იმოქმედა აგრარული რეფორმის გატარებამ, რომელიც ამიერკავკასიის კომისარიატმა წამოიწყო. ამ რეფორმის შედეგად, მიწათმფლობელებს (ბეგებს) ჩამოერთვათ დიდი რაოდენობით ქონება, მათ შორის მიწაც, ამ ფაქტმა ბეგები კიდევ უფრო მეტად გააბოროტა და განაწყო ანტიქართულად.

3. 1917 წლის 17 ნოემბერს აბასთუმანში ჩატარდა კავკასიაში მოსახლე მუსლიმანების ყრილობა, რომელმაც მიიღო დადგენილება:

ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტათ საქართველოსათან, რადგანაც რევოლუციური საქართველო მათთვის საფრთხეს წარმოადგენდა. მათ ასევე დაადგინეს, აეფეთქებინათ ხიდები და გზები ბორჯომის შემდეგ და შეექმნათ სახელმწიფო ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქებისაგან. ამ ტერიტორიისათვის აპირებდნენ დაემატებინათ ახალციხე და ახალქალაქი. „ყარსი ჩვენი ციხე იქნებაო, არდაგანი გამოგვეკვებავს პურით და სხვა სურსათით. ბათუმი კი თბილისის ადგილს დაიჭერს, რადგან ის დაგვაკავშირებს დასავლეთ ევროპასთანო“ – წერდნენ მუსლიმანების წარმომადგენლები.

აღნიშნული მიზეზების გარდა, არსებობს სხვა არსებითი ხასიათის მიზეზებიც: მაგალითად, სომხეთთან ომის დამთავრების შემდეგ (1918 წ.) საქართველოს მთავრობამ მოახდინა ჯარების დემობილიზაცია, რომელიც შეეხო იმ მცირერიცხოვან ჯარსაც, რომელიც იდგა ახალციხეში და ისედაც დასუსტებული, დაუძლურებული და ბრძოლისუნარდაკარგული ჯარი კიდევ

უფრო დასუსტდა. ყოველივე ამით კი ისარგებლეს მეამბოხეებმა და იერიში მიიტანეს ქართულ ჯარზე.

შალვა მალლაკელიძე სასტიკად აკრიტიკებს საქართველოს მთავრობას არა მარტო მესხეთის გამო, არამედ ბეგებთან დაუკვირვებელი, მოუქნელი პოლიტიკის გამო. „სერვერ-ბეგ ათაბაგი ამ დროს უკვე ჩვენი მტერია, იმიტომ, რომ პირველი რაც გააკეთეს ჩვენებმა, კომისარიატმა კავკასიისამ, სახლები ჩამოართვა ახალციხეში მცხოვრებ ბეგებს. სერვერ-ბეგი კი ოსმალეთის აგენტად ჩათვალეს. ამიერიდან, იგი უკვე საქართველოს მტრად მოეწვინა, როცა თავისუფლად შეიძლებოდა მისი გადმობირება საქართველოს სასარგებლოდ. ეს იყო უდიდესი შეცდომა“ – წერდა შალვა მალლაკელიძე.

26 დღე გავიდა იმ დღიდან, რაც ქართულმა ჯარმა ახალციხის მხარე დატოვა. 26 დღეს ბატონობდნენ ამ მხარეში სერვერ-ბეგი და მისი დამქაშები. ეს 26 დღე იყო ქართველების დამცირების, შეურაცხყოფის, აწიოკებისა და ძარცვა-გლეჯის პერიოდი.

სერვერ-ბეგის „მთავრობას“ ხალხმა მხარი არ დაუჭირა. მან ვერც ხარკი აკრიფა, ვერც მობილიზაცია მოახდინა ჯარის შესაკრებად. როდესაც ჩვენმა ჯარმა იერიში მიიტანა აწყურზე, სერვერ-ბეგი თურმე ტყვიამფრქვევით დადიოდა სოფლად და ხალხს ერეკებოდა, მაგრამ ხალხი მას მაინც არ აჰყვა. უმთავრესი ძალა, რომელსაც ეყრდნობოდა სერვერ-ბეგი, ეს იყო ფოცხოვი და ოსმალეთის ჯარები. თვით იმ ორგანიზაციაში, რომელიც შექმნა სერვერ-ბეგმა განხეთქილება მოხდა. ბეგების ნაწილი არ მიემხრო სერვერ-ბეგს. ამ ბეგებს კი გავლენა ჰქონდათ ხალხში. მისი დამარცხების მიზეზი, უმთავრესად ის იყო, რომ აჯანყებულთა რაზმები ფაქტობრივად ბრბოს წარმოადგენდა. სერვერ-ბეგის ხელმძღვანელობით დაწყებულმა აჯანყებამ დიდი ზიანი მოუტანა მთელ მესხეთს. ავანტიურისტულმა პოლიტიკამ მრავალი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. თურქეთისადმი ერთგულებამ და მისთვის სისხლისღვრამ არაფერი მოუტანა სერვერ-ბეგს. საქართველოსგან მესხეთის ჩამოშორებისათვის და თავის სახელმწიფოსთან მიერთებისათვის ერთდროულად იბრძოდა თურქეთიც და რუსეთიც.

მესხეთ-ჯავახეთის საქართველოსგან ჩამოშორებისა და რუსეთთან მიერთებისათვის იბრძოდა დენიკინის სარდლობაც და მისი ხელქვეითი ყუბანის „რესპუბლიკის“ მთავრობა. ამ ბრძოლაში, მათ ინგლისიც უჭერდა მხარს. ინგლისის კავკასიის სარდლობა ყოველმხრივ უშლიდა ხელს საქართველოს ხელისუფლების განმტკიცებას სამცხე-საათაბაგოში. ინგლისელმა გენერალმა, კორიმ კატეგორიულად მოითხოვა ქართული ჯარების გამოყვანა არდაგანიდან. დენიკინის აგენტები მესხეთში ეწეოდნენ ანტიქართულ პროპაგანდას და ამზადებდნენ პირობებს ამ მხარის საქართველოდან ჩამოსაშორებლად.

სახელოვანი ქართველი გენერლების: შალვა მალლაკელიძის**, ბალო მაყაშვილის, გიორგი მაზნიაშვილისა და გიორგი კვინიტაძის სარდლობით 1917-19 წლებში წარმოებულმა შეუპოვარმა და თავგანწირულმა ბრძოლებმა მესხეთი საქართველოს შეუნარჩუნა.

1919 წელს საბოლოოდ გაანადგურეს მეამბოხეთა ბანდები, რომელთაც მეთაურობდნენ პანთურქული ორიენტაციის ქართველი მაჰმადიანი ბეგები.

მესხეთის ბედი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სრულიად საქართველოს ბედთან. როგორც ცნობილია, საბჭოთა რუსეთი, მიუხედავად მის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ მაინც ატარებდა აგრესიულ პოლიტიკას. ამას დაემატა ისიც, რომ 1920 წლის გაზაფხულზე ყოფილი ოსმალეთის ტერიტორიაზე, გაჩნდა აგრესიული „ახალგაზრდა თურქეთის“ სახელმწიფო, რომლის ლიდერი გახლდათ ქემალ ფაშა, შემდგომში ათათურქად წოდებული. საბჭოთა რუსეთმა 2 ივნისს აღიარა ქემალ ფაშას მთავრობა. 24 აგვისტოს კი, მასთან დადო ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის ხელშეკრულება, რითაც დემოკრატიულ საქართველოს დიდი საფრთხე შეექმნა, ამ ორი უაღრესად აგრესიულად განწყობილი ახალგაზრდა სახელმწიფოების მხრიდან.

1920 წლის ოქტომბერში გენერალი მაზნიაშვილი დაეთანხმა ნოე ჟორდანიას თხოვნას და დაინიშნა თბილისის რაიონისა და ქალაქის გარნიზონის უფროსის თანამდებობაზე. მძიმე დღეები დაუდგა ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს 1921 წლისთვის. მიუხედავად იმისა, რომ 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც, საბჭოთა რუსეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. „წითელი იმპერია“ გამალებით ემზადებოდა საქართველოს დასაპყრობად მას შემდეგ, რაც ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახდინა აზერბაიჯანის გაწითლება“ 1920 წლის აპრილში, ხოლო ამავე წლის ნოემბერში დაიპყრო სომხეთი. საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობა მიზნად ისახავდა საქართველოს გასაბჭოებას. ავისმომასწავებელი შავი ღრუბლებით მოიქუფრა ქართული ზეცა.

საქართველოს მთავრობა ჯეროვნად აცნობიერებდა იმ საფრთხეს, რომელსაც ჩრდილოელი მეზობელი, „კეთილმოსურნე“ საბჭოთა რუსეთი, უქმნიდა ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს. ნოე ჟორდანიამ დამფუძნებელი კრების სხდომაზე განაცხადა, „მოქალაქენო! პოლიტიკური ღრუბლები ჩვენს ირგვლივ კვლავ აირივნენ. საბჭოთა რუსეთის მოსაზღვრეობა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისათვის თანდათან მუქარად ხდება“, საბჭოთა რუსეთის ჯარმა ყოველი მხრიდან შემოუტია საქართველოს. მონსტრთან გამკლავება იოლი საქმე როდი იყო. ევროპას, სამწუხაროდ, ქმედითი ზომები არ მიუღია საქართველოს დასახმარებლად და სუვერენული რესპუბლიკის „წითელი ბარბაროსებისაგან“ გადასარჩენად.

ბოლშევიკური რუსეთი, რომელიც ურცხვად და უხეშად არღვევდა საქართველოსთან 1920 წლის 7 მაისს დადებულ ხელშეკრულებას, საგულდაგულოდ ემზადებოდა საქართველოს დასაპყრობად. ბოლშევიკური რუსეთი საქართველოს დაპყრობას სერიოზულად განიხილავდა, რაც იმითაც დასტურდება, რომ საქართველოში ელჩად მოავლინეს საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, „რევოლუციის ტრიბუნი“ სერგეი კიროვი. რუსეთის საელჩოს თანამშრომლები (მათ შორის სამხედრო ატაშეც*)

საფუძვლიანად სწავლობდნენ ქართული ჯარის შემადგენლობას, შეიარაღებას, დისლოკაციას, ქართულ-საზოგადოებრივ პოლიტიკურ აზრს და ა. შ. საისტორიო არქივში არსებობს საყურადღებო დოკუმენტი – რუსეთის საელჩოს სამხედრო ატაშეს საიდუმლო მოხსენებით ბარათი, რომელიც დათარიღებულია 1920 წლის 30 დეკემბრით. დოკუმენტში ხაზგასმითაა მითითებული, რომ ქართველები არ ენდობიან რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობას, რადგანაც ბოლშევიკების 150 ათასიანი არმია უშუალოდ საქართველოს საზღვრებთანაა დისლოცირებული. სამხედრო ატაშე მიუთითებდა, რომ რუსეთის ჯარების კონცენტრაცია საქართველოს საზღვრებთან „აღიზიანებს ქართველებს, აიძულებს მათ, თავი მოუყარონ თავიანთ ძალებს აღმოსავლეთის საზღვრებთან“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამწუხაროდ, ევროპის დიდი სახელმწიფოები რეალურად არაფერს აკეთებდნენ რუსეთის მოსალოდნელი აგრესიისაგან საქართველოს დასაცავად. დასავლეთში უპირატესობას სომხეთს ანიჭებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნისათვის ამ მძიმე, საბედისწერო ჟამს, ქართველი ინტელიგენცია, რომელიც ყოველთვის მტკიცედ იდგა ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე, ბოლშევიკური რუსეთის აგრესიისაგან სამშობლოს დასაცავად თანამემამულეებს გმირული ბრძოლისათვის ამზადებდა და რაზმავდა. სამშობლოს დასაცავად გულანთებულ ქართველ სტუდენტობას გამამხნეველი სიტყვით მიმართა ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელმა, ერის მოჭირნახულემ დიდმა ივანე ჯავახიშვილმა: „შვილებო, ჩემი მოვალეობაა თქვენ წიგნისა და კალმისაკენ მოგიწოდოთ, მაგრამ ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა ყველაფერი განზე გადასდო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო. და აი მე თქვენ დღეს იარაღისაკენ მოგიწოდებთ“ – მიმართა მან სტუდენტებს. თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ გადაწყვეტილება მიიღო სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ომში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ. 1921 წლის თებერვალში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა საგანგებო მიმართვა შეადგინეს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებული თავდაცვის კომიტეტის სახელზე. ეს დოკუმენტი დაცულია საქართველოს უახლესი ისტორიის არქივში.

„დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს, პატივი გვაქვს წერილობით გაცნობოთ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილება, მიღებული სასწრაფოდ. მოწვეულს საგანგებოდ 16 თებერვალს 1921 წელს ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გამო, რომელიც სიტყვიერად იმავე დღეს მოვისმენთ; ა) ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები, მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფს ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვენ კომიტეტს, რათა მათი გონივრული და ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას უმჯობესად მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის. ბ) უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორატორიებსა და სამკურნალო

ფაკულტეტის კლინიკების კარები ღიაა ომის საჭიროებისათვის. ამასთანავე, გაახლებთ აქვე დართულ სიას სამეცნიერო სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობისას.

რექტორი პროფ. ივ. ჯავახიშვილი
საბჭოს მდივანი ა. შანიძე“.

საქართველოს ხელისუფლების თხოვნა, ევროპის დიდი სახელმწიფოებისადმი, დახმარების გაწევის თაობაზე, უპასუხოდ დარჩა. ქართველი ხალხი უნგაროდ ჩაება სამამულო ომში სამშობლოს დამოუკიდებლობის დასაცავად. საბჭოთა რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ სამამულო ომში აქტიურად მონაწილეობდნენ უნივერსიტეტელებიც – როგორც სტუდენტობა, ასევე პროფესორ-მასწავლებლებიც. ჭეშმარიტი ერის კაცი, შემდგომში უნივერსიტეტის გამორჩენილი რექტორი, ბატონი ნიკო კეცხოველი 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომში უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მონაწილეობის შესანიშნავი მაგალითია.

განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა ქართველ ახალგაზრდებში გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. მათ ხიბლავდა ქართველი სარდლის შესაშური მხნეობა, პროფესიონალიზმი და სიმამაცე, რომელიც დადებით მუხტს მატებდა ახალგაზრდობას ბოლშევიკური აგრესიის წინააღმდეგ გაჩაღებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. „ქართველსა გული რკინისა, აბჯარი თუნდაც ხისაო“ – ამ სიტყვებით დაულოცავს გზა ივანე ჯავახიშვილს საომრად მიმავალი სტუდენტობისათვის. რექტორის დალოცვის შემდეგ ახალგაზრდობა კოჯრის პოზიციებისაკენ გაემართა. ლეგენდარული მარო მაყაშვილი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც გმირულად დაიღუპა, კოჯრის ბრძოლების მონაწილე იყო. შვილის დაღუპვით ტრამვირებული პოეტი კოტე მაყაშვილი ლექსში „მარო მაყაშვილს“ წერდა: „...არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი, თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი!..“

მოახლოებული რეალური საფრთხის პირობებში, იმ საბედისწერო ჟამს ნოე ჟორდანიას თხოვნით გენერალი მაზნიაშვილი შეუდგა თბილისის რაიონის და ქალაქის გარნიზონის უფროსის მოვალეობის შესრულებას. 1921 წლის თებერვალში იგი სოღანლულის დაჯგუფებების სარდალია. მას სოღანლულის მხრიდან დედაქალაქის დაცვა დაევალა.

ამ დავალების შესრულება შედარებით მცირერიცხოვანი ძალებით იოლი საქმე არ იყო. თუმცა ისიც უთქვამს, რომ ამ ძალებით რამდენჯერმე შეძლო მტრის ჭარბი ძალების მოგერიება და უკუგდება. ამასობაში გენერალს მომხრე ძალაც მოუვიდა. ქართველებმა გულიანად შეუტიეს მტერს. გენერალი „მოგონებებში“ წერს: „მტერმა ბრძოლა არ მიიღო და ნაწილი ტყვედ ჩაგვივარდა, ხოლო მომეტებულმა დაიხია იაღლუჯის სიმაღლისაკენ. ტყვეები 1600 კაცი გავგზავნე არმიის შტაბში.“ გენერალ მაზნიაშვილის მიერ განხორციელებული შეტევის შედეგად დატყვევებული „წითელი“ მებრძოლები რუსთაველის პროსპექტზე ჩაუტარებიათ. დედაქალაქში შექმნილი ვითარება შესანიშნავად აღწერა შალვა ხიდაშელმა თავის „უსათაურო მოგონებებში“. იგი

წერს: „თბილისის კართან მე-11 არმიაა მომდგარი. მასაც ქართველი მოუძღვის. ზარბაზნების გრიალი თბილისში ისმის. ავარდნილი ბოლი თბილისიდან ჩანს. შედრწუნება და მწუხარებაა ყველგან მოსახლეობის რიცხვი ყოველ დღე იზრდება. სასახლის წინ აუარებელი ხალხია თავმოყრილი – ეს ახალგაზრდა ვაჟები და მათი გამცილებლები არიან. ახალგაზრდათა შორის – იუნკრები*, რომელთა გმირობა საზოგადოებრივი აღტაცების საგნადაა ქცეული. ენერგიულად დააბიჯებს შუახნის კაცი ნაყვავილარი სახით, ტყავის ქურქით, ეს ვალიკო ჯუღელია, სახალხო გვარდიის სარდალი. ტყვეების დემონსტრაცია რუსთაველის პროსპექტზე. საოცრად ჭრელი მასა – ზოგი ფეხშიშველი, ზოგი შინელში, ზოგი ტყაპუჭებში – გაერთიანებული ერთი ნიშნით – ყველა რუსია. პარაკლისი სამხედრო ტაძრის ეზოში, ვრცელ მოედანზე, ჩვენი სკოლის გვერდით. შემაღლებულ ფიცარნაგზე კათალიკოსი ლეონიდე სწირავს, ღმერთს ევედრება გადაარჩინოს მრავალტანჯული ქართველი ხალხი, ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო უბედურებას... ტაბახმელის ფრონტზე დაღუპულთა ჩამოსვენება და საჯაროდ დაკრძალვა იმავე ეზოში (მათ შორის ერთი დამამახსოვრდა – ცნობილი პოეტის კოტე მაყაშვილის ქალი) დღეს მათ საფლავს ბოლნისის ქვით მოპირკეთებული შენობა ადგას: „მინისტრთა საბჭო და სამინისტროები“. ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო უმოკავშირეოდ, საკუთარი ძალების ამარა „წითელი ბარბაროსების“ მტრულ გარემოცვაში აღმოჩნდა.

XI წითელი არმია-აზერბაიჯანიდან, VIII, IX და XIII არმიები ჩრდილო კავკასიიდან საქართველოს დასაპყრობად თითქმის ერთდროულად დაიძრა. VIII, IX და XIII არმიები საქართველოს დარიალისა და მამისონის უღელტეხილიდან, აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროს ზოლიდან უტეკდნენ. საქართველოს შეიარაღებული ძალები, მთელი ქართველი ხალხი, გმირულ წინააღმდეგობას უწევდა „წითელ ბარბაროსებს“ და არცთუ იშვიათად გაბედული კონტრშეტევებით აიძულებდა მტრის ჭარბ ძალებს, უკან დაეხია. ქართველობა საარაკო გმირობას ავლენდა ურიცხვ დამპყრობლებთან ბრძოლაში. მაგალითისთვის, ვფიქრობთ, ჭაბუკი იუნკრების გმირობის გახსენებაც კმარა... ქართველი ხალხის პატრიოტული სულისკვეთება და გმირული შემართება აისახა ოფიციალურ მიმართებებშიც ევროპის ქვეყნებისადმი, რომლებმაც სამწუხაროდ, ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო ბედის ანაბარა მიატოვეს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა გავეცნოთ საქართველოს მიმართვას ერთა ლიგის* სახელზე:

„ერთა ლიგის თავმჯდომარეს – ლეონიდ ბერჟუას, ასლი აღბერ ტომას. საბჭოთა რუსეთი ომის გამოუცხადებლად, ვერაგულად დაესხა თავს საქართველოს რესპუბლიკას. ღამით ამოხოცა მძინარე ჯარისკაცები და ოფიცრები და ყოველი მხრიდან შემოგვიტია. ვერაგი მტერი ამას არ დასჯერდა. თვითმფრინავიდან ყუმბარებს ესვრის ტფილისს და ხოცავს ბავშვებს და ქალებს. მივაქცევთ რა მთელი განათლებული კაცობრიობის ყურადღებას საბჭოთა მთავრობის ასეთ ველურობას, გამოვთქვამთ ჩვენს ღრმა აღშფოთებას და ვაცხადებთ პროტესტს. გთხოვთ მოიხმოთ მთელი თქვენი ავტორიტეტი, რათა ევროპის ხალხებმა ხმა ამოიღონ საქართველოს დასაცავად ველურთა

ურდობისაგან. ქართველი ხალხი თავის მხრივ, საქვეყნოდ აცხადებს, რომ მას შეურყევლად აქვს გადაწყვეტილი სამშობლოს დაცვა წითელი ბარბაროსებისაგან. ის იარაღით ხელში ბრძოლის ველზეა გასული, თავს დასდებს იქ, თავისუფალ დემოკრატიულ სამშობლოს არ დასთმობს.

საქართველოს ერთა ლიგის საზოგადოების თავმჯდომარე ალექსანდრე ლომთათიძე“.

ასეთ უმძიმეს ვითარებაში, როცა ქვეყანა ფაქტობრივად ბოლშევიკური რუსეთის არმიების რკალში მოექცა, საქართველო მხოლოდ საკუთარი ძალებით უმკლავდებოდა აგრესორს. ევროპის დიდი სახელმწიფოები არც ამჯერად გამოეხმაურნენ საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურ განცხადებასა და თხოვნას დახმარების გაწევის თაობაზე. ქართული ჯარისა და მოსახლეობის გმირული წინააღმდეგობების მიუხედავად, დამპყრობელთა არმიებთან ბრძოლა დადებით შედეგს ვერ გამოიღებდა. ამ რთულ ვითარებაში, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი მთავრობის გადაწყვეტილებას გენერალ ოდიშელიძის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, დიდ შეცდომად მიიჩნევდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ გენერალ ოდიშელიძის, როგორც პროფესიონალის ავტორიტეტი სამხედრო ინტელიგენციაში საკმაოდ მაღალი იყო. „მოგონებებში“ გიორგი მაზნიაშვილი წერდა: „14 თებერვლის მთავრობის დადგენილებით, რომელიც გამოწვეული იყო დამფუძნებელი კრების ეროვნულ-დემოკრატიული (პარტიის) ერთი ჯგუფის ზეგავლენით, მთავარსარდალი ოდიშელიძე თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა. მის ადგილას დაინიშნა გენერალი კვინიტაძე. ეს იყო გამოუსწორებელი შეცდომა მთავრობისა. ქართველ ყველა გენერალში ოდიშელიძე თვალსაჩინოდ ირჩეოდა (გამორჩეოდა, ც. ჩ.). უმაღლეს სარდლობაში, მას ჰქონდა დიდი მხედრული და ადმინისტრაციული სტაჟი. ევროპის უდიდესი ომის დროს (იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი) გენერალმა ოდიშელიძემ მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება რუსეთის ჯარების მთავარი შტაბისა. ომის დასაწყისში ჩვენ ვხედავთ მას პირველი არმიის შტაბის უფროსის თანამდებობაზე. ომის მეორე პერიოდში ოდიშელიძე ინიშნება კორპუსის უფროსად და შემდეგ მოკლე დროის განმავლობაში კავკასიის უფროსად. აი ასეთ პიროვნებას მთავრობა ცვლის გაჩაღებული ომის დროს და ნიშნავს ისეთ პირს, რომელიც სამხედრო სტაჟით მეტად ჩამორჩებოდა ოდიშელიძეს. უახლესი ამბების განვითარებამ დაუმტკიცა მთავრობას მისი შეცდომა.“

გენერალი ოდიშელიძე როგორც პროფესიონალი, მართლაც დიდი ავტორიტეტით რომ სარგებლობდა იმპერიის შეიარაღებულ ძალებში, სადავო არ არის, მაგრამ შესაძლოა, გენერალი მაზნიაშვილი ჯეროვნად არ იცნობდა გენერალ კვინიტაძის შესაძლებლობებსა და მის პროფესიონალიზმს, ამიტომაც მას სათანადოდ ვერ აფასებდა. თუმცა დასაშვებია ისიც, რომ გენერალ კვინიტაძის მიმართ მაზნიაშვილს გარკვეული უკმაყოფილების გრძნობაც გააჩნდა. „მოგონებებში“ გენერალი აშკარად გამოთქვამს პირად წყენას კოლეგისადმი, იხსენებს რა 1919 წელს სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის პოსტზე მუშაობის პერიოდს, მხარეში შექმნილ სიძნელებებს და ღრობით

წარუმატებლობებს სერვერ-ბეგის ბანდებთან ბრძოლის დროს. გენერალი მაზნიაშვილი წერს: „...სამხედრო მინისტრის ამხანაგის (მოადგილის, ც. ჩ.) გენერალი გედევანიშვილის დეპეშა მივიღე, რომლითაც ზრდილობიანი კილოთა გვაცნობებდა შემდეგს: „სამხედრო მინისტრი საჭიროდ თვლის, ტფილისში მოგიწვიოთ, თქვენი დივიზიის მსწრაფლ მობილიზაციას მინისტრი დიდი მნიშვნელობას აძლევს და ამიტომ, თქვენი თანამდებობა გენერალ კვინიტაძეს ჩააბარეთ და დაუყოვნებლივ ტფილისში ჩამოდიეთ... ეს კიდეც არაფერი. ჩემთვის საწყენი უფრო ის იყო, როდესაც გავიგე, რომ კვინიტაძეს როდესაც ის ბორჯომში მოვიდა ჩემთან, როგორც შტაბის უფროსი, უკვე ჯიბეში ელო თავის დანიშვნის ბრძანება და ეს გარემოება დამიძალა.“

ორივე მხედართმთავარს აერთიანებდა ერთი მთავარი საერთო მიზანი – სამშობლოსადმი უანგარო სამსახური. ვეება მონსტრთან უთანასწორო ბრძოლაში, გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად, პატარა საქართველო დამარცხდა. ამ უმძიმესი ვითარების ჟამს საქართველო თურქეთის მხრივ ოკუპაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

ვერაგობითა და ძალით, საბჭოთა რუსეთმა საქართველოში უსასტიკესი ბოლშევიკური რეჟიმი დაამყარა. ქართველი ხალხი არ შერიგებია მძიმე ხვედრს და განაგრძობდა ბრძოლას დამპყრობლებთან. ბოლშევიკებმა შექმნეს სამხედრო ხელისუფლება – „რევოლუციური კომიტეტი“. საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმურმა მთავრობამ განაცხადა, რომ ლეგალურ ხელისუფლებად ვერ ჩაითვლებოდა რუსული ხიშტებით ქვეყანაში ძალით შემოტანილი და დამკვიდრებული უზურპატორული* კომიტეტი ე. წ. „რევკომი.“ საქართველოს მთავრობამ ღიად განაცხადა, რომ ნებისმიერ პირობებში და ყველგან დაიცავდა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს – თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. აღინიშნა, რომ ქართველმა ხალხმა გმირული წინააღმდეგობა გაუწია მტერს და თავისი მიწა-წყალი დაუთმო მხოლოდ მაშინ, როცა ამოიწურა წინააღმდეგობის ყველა შესაძლებლობა. „საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა არის უცხო ჯარის მიერ ქვეყნის სამხედრო ოკუპაცია“ – აღნიშნული იყო მთავრობის განცხადებაში. საქართველოში ისევ ჩრდილოელი „კეთილმოსურნე“ გაბატონდა. რუსული ხიშტებით შემოსულმა „განმათავისუფლებლებმა“ ვერ შეძლეს ქართველთა გატეხა, მათში პატრიოტული სულისკვეთების ჩაკვლა.

„მოყვრად“ მოსულ ბოლშევიკებთან უთანასწორო გმირულ ბრძოლაში სისხლისგან დაცლილი საქართველო თურქების შესაძლო შემოჭრის საფრთხის წინაშე იდგა. ბათუმში უკვე დათარეშობდნენ თურქი ასკერები. დიდი დამსახურება მიუძღვის გენერალ გიორგი მაზნიაშვილს 1921 წელს ბათუმისა და აჭარის რაიონების თურქებისაგან გათავისუფლების საქმეში. უმძიმესი ვითარება სუფევდა საქართველოში. ლეგიტიმური* მთავრობა მთავარსარდალთან ერთად იძულებული შეიქნა, საფრანგეთისათვის შეეფარებინა თავი. გენერალი მაზნიაშვილი, რომელიც პირადად შეხვდა ბათუმის „რევკომის“ წევრს, თენგიზ ჟრენტს, დაეთანხმა „რევკომის“ წინადადებას, მის განკარგულებაში მყოფი ძალებით გაეთავისუფლებინა ქალაქი თურქებისაგან. ქართულმა ჯარმა

სახელოვანი გენერლის სარდლობით, გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, ბათუმი დაიკავა. გენერალმა მაზნიაშვილმა, რომელმაც უზადოდ ჩაატარა ბათუმის თურქებისაგან გათავისუფლების ოპერაცია, კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა თავის მხედრულ ბიოგრაფიაში. აქვე საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ „გენერალ მაზნიაშვილის ნაწილებმა ბათუმის ოლქიდან თურქები განდევნეს მანამ, ვიდრე ბათუმს კავალერია მიაღწევდა“. ამრიგად, ქართველმა გენერალმა მის დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული ძალებით შეძლო ბათუმის გათავისუფლება. გამარჯვებული გენერალი სერგო ორჯონიკიძეს წარუდგინეს. ორჯონიკიძეს მისთვის უთქვამს: „თქვენ იცით, რომ კანონგარეშე იყავით გამოცხადებული და თქვენთან შეხვედრის დროს, ყველა კომუნისტს უფლება ჰქონდა მოეკალით იქვე, ალაგობრივ, მაგრამ მხედველობაში ვიღებთ თქვენს მოქმედებას ბათუმში გადატრიალების კრიტიკულ მომენტში და გეპატიებათ ყველა ბოროტმოქმედებანი, რომელიც ჩაიდინეთ თქვენ მენშევიკების ბატონობის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.“ პატრიოტი გენერალი, რომელსაც სამშობლოსადმი ერთგული სამსახურის მხედრული ფიცი ჰქონდა დადებული, სერგო ორჯონიკიძის ამ ბრალდებას უსაფუძვლოდ მიიჩნევდა. „მოგონებებში“ ამ საყვედურით გულნატკენი მამულიშვილი წერდა: „ვერ წარმომიდგენია, როდის და რა ბოროტმოქმედების ჩადენა შემეძლო ვისიმე წინააღმდეგ. მე ხომ როგორც ჯარისკაცი ვემსახურებოდი პატიოსნად და გულმოდგინედ ჩემს მთავრობას“.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრისას, გენერალმა მაზნიაშვილმა კატეგორიულად მოითხოვა ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა უსაფრთხოების გარანტიები, რადგანაც, როგორც თავად აღნიშნავდა, „ქართველი ოფიცრები წარსულში არ ეკედლებოდნენ პოლიტიკურ პარტიებს და არ ერეოდნენ მათ შორის ატეხილ უთანხმოებებში. ისინი ემსახურებოდნენ მხოლოდ სამშობლოს ინტერესებს“. 1921 წლის 23 მარტს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბრძანებით, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი დაინიშნა ქართული შეიარაღებული ძალების სარდლად ბათუმის ოლქში. ახალ თანამდებობაზე დანიშნვისთანავე, გენერალი ენერგიულად შეუდგა ქართულ შეიარაღებულ ძალებში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას, რაზეც ნათლად მეტყველებს მისი პატაკი სამხედრო და საზღვაო კომისარიატის სახელზე: აი ეს პატაკიც:

„სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარს

23 მარტი, 1921 წელი, პატაკი №112.

მოგახსენებთ, რომ ბათუმში შექმნილი მდგომარეობის გამო, ჩემდამი რწმუნებული ჯარები ვერ ღებულობენ სისტემატურად კუთვნილ ულუფას. ხშირია შემთხვევა, რომ ჯარისკაცები რამდენიმე დღე არ ღებულობდნენ სრულიად ჰურს, ხოლო ზოგჯერ კი ღებულობდნენ არა უმეტეს ერთი გირვანქისა. რაც შეეხება სხვა სანოვაგებს და მეტადრე ცხენების საკვებს, – ეს საკითხი სრულიად არ არის მოგვარებული. ამისთანა მდგომარეობას, რასაკვირველია, ფრიად არასასურველი გავლენა აქვს ჯარისკაცთა სულის განწყობილებებზე და იწვევს მათ თითქმის მასიურ წასვლას თავის სახლებში. მოგახსენებთ რა ამას, გთხოვთ მიღებული იქნას უსასტიკესი ზომები ჩვენი

ჯარის ყველა კმაყოფით უზრუნველსაყოფად, რათა მომეცეს საშუალება დავაკავო ჯარისკაცები ყაზარმებში და დაუბრკოლებლად შეუდგე საქართველოს წითელი ჯარის შექმნას.

სარდალი გ. მაზნიაშვილი. გენშტაბის უფროსი გელევანიშვილი“.

სამშობლოს სამსახურში დამშვრალ გენერალს ეროვნული არმიის შექმნა და ქართველ მეომრებში მთვლემარე სულის გაღვიძება ცხოვრების უმთავრეს მიზნად მიაჩნდა. ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ძირითად მოთხოვნად სარდალი, სავსებით სამართლიანად, ქართველ ოფიცერთა ძველი კორპუსისათვის უსაფრთხოების გარანტებს ასახელებდა. 1921 წლის 6 აპრილს გენერალი მაზნიაშვილი დაინიშნა ქართული წითელი არმიის ინსპექციის ქვეითი ჯარის ინსპექტორად. ბრძოლების ქარ-ცეცხლში გამობრძმედილი მხედართმთავარი, როგორც საქართველოს გენერალი, სამშობლოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურს გამართლებულად მიიჩნევდა. აკი კიდევ განუცხადა საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელს, თენგიზ ჟღენტს: „თუ საქართველოს ახალი ხელისუფლება ბოროტებად არ ჩაგვითვლის სამშობლოსადმი სამსახურს მენშევიკების ბატონობის დროს და მოგვცემს გარანტიას, რომ არც ერთი ჯარისკაცი, გენერლიდან მოყოლებული უბრალო მეომრამდე, უწინდელი სამსახურისათვის არ იქნება დასჯილი, მე მზად ვარ განვაგრძო სამხედრო სამსახური“.

პატრიოტ გენერალს, რომელსაც უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა სამშობლოსადმი სამსახური, შეეძლო ემიგრაციაში წასვლა, მაგრამ შეუძლებლად მიაჩნდა გაეცვალა სამშობლო „სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“. მიუხედავად „ძველი ცოდვების“ მიტევებისა, საბჭოთა ხელისუფლებამ ურცხვად დაივიწყა გენერლისადმი მიცემული პირობა, არაფრად ჩააგდო მისი საქმიანობა ქართული შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის საქმეში, მისი პირადი წვლილი თურქებისაგან აჭარის გათავისუფლებაში, მხედველობაში არ მიიღო მხედართმთავრის ავტორიტეტი, საყოველთაოდ აღიარებული პროფესიონალიზმი, დიდი დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე. ფიცგაუტეხელი გენერლისადმი ქართველი ხალხი შესაფერ პატივისცემას და სიყვარულს ავლენდა. ხელისუფლებამ ასეთ გენერალს დანაშაულად ჩაუთვალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამსახური და გასცა განკარგულება მისი დაპატიმრების შესახებ. საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლების ვერაგობით აღშფოთებულმა პატიმარმა, გენერალმა მაზნიაშვილმა საპროტესტო წერილი გაუგზავნა საბჭოთა საქართველოს ჯარების სამხედრო კომისარს, თენგიზ ჟღენტს.

ვფიქრობთ, ქართველი საზოგადოებრიობისათვის ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს გაეცნოს უსამართლოდ უფლებააყრილი პატიმარი გენერლის წერილს, რომელიც დაცულია საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. წერილში ვკითხულობთ:

„დავიდალე სამართლის ძებნაში. 15 თვეა, რაც ციხეში ვზივარ და კიდევ ოთხი წელიწადი უნდა ვიჯდე. ასე ნელ-ნელა, მაგრამ შეუწყვეტლად უნდა მიჰქრეს ჩემის სიცოცხლე, აღსავსე ტყვეობის ზნეობრივი და ფიზიკური

ტანჯვით და თან ამავე ტემპით უნდა ვანადგურო და ვაქციო ჩემის ოჯახი ნივთიერად და მორალურად, რომ ყველა ეს უბედურება, „დამსახურებული დაფასება“, შედეგი იყოს რაიმე დანაშაულისა და ბოროტმოქმედებისა. ჩემი ხასიათის სიმტკიცე მეყოფოდა, რომ ყოველივე ეს უსიტყვოდ ამეტანა რამენაირად და არავითარი ნაბიჯი არ გადამედგა ჩემი ბედის შესამსუბუქებლად, მაგრამ როდესაც არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის არც მთავრობისა და არც საზოგადოების წინაშე, როდესაც ყოველივე ჩვენთაგანის მოვალეობა პირნათლად შემისრულებია, როდესაც ამის საპასუხოდ პატივყრილი და სახელგატეხილი ციხეში ვარ ჩაგდებული, იქ ვლევ ჩემს დღეებს, აბა როგორ არ ვეძიო სამართალი, როგორ არ მოვიარო კარდაკარ ყოველი ისეთი პიროვნება, რომელიც თავის მდგომარეობით იზიარებს მთავრობის ორგანოების ყოველ სანქციას და მოქმედებას?! ამ აზრთა პერობილი თქვენც გაუწყებთ ჩემს მდგომარეობას, თქვენთანაც მოვდივარ სამართლის საძებნად, მით უმეტეს, რომ თქვენ უფრო მოვალე ხართ ყურადღება მომაქციოთ ამ სიტყვის შემდეგ, რომელიც ბათუმის რეკომის სახელით, 1921 წლის მარტის თვრამეტს მე და მთელ ქართველ ოფიცრობას მოგვეცით, რომლის ძალით არც ერთი ჩვენთაგანი წარსული მოქმედებისათვის გასამართლებულ არ უნდა ყოფილიყო და განა ეგრევე არ იყო დეკრეტი №1-ით თქმული საჯაროდ?! უფრო კერძოდ განა ს. ორჯონიკიძემ იმავე წლის (1921 წ.) 23 მარტს, როდესაც უკვე ოსმალთ ჯარები გავანადგურე – არ მითხრა, რომ ასეთ ბრწყინვალე სამხედრო მოქმედებისათვის და ახალი მთავრობის წინაშე დამსახურებისათვის მე მეპატიებოდა ყოველი მანამდე ჩადენილი მოქმედების პასუხის გება. ჰოდა როდესაც დღეს ციხეში ვსწეულდები მე პირადად, ხოლო ოჯახი იტანჯება მატერიალურად და ზნეობრივად სწორედ იმიტომ, რომ დანაშაულად ჩამითვალეს ჩემი წინანდელი მოქმედებები, როდესაც როგორც ქართველი ჯარის სარდალი ვებრძოდი ჯარს და ვიცავდი ჩემი სამშობლოს მიწა-წყალს, როგორ არ უნდა მოგაგონოთ ან თქვენ, ან ს. ორჯონიკიძეს მოცემული სიტყვები, ან მთავრობას მისი დეკრეტი №1 რად მოხდა, რომ ყველამ დაივიწყა თავისი სიტყვა და მოვალეობა, რომ მე გამხადეს უდანაშაულო მსხვერპლად, ან იქნებ სხვა დანაშაული ჩავიდინე საქართველოში დამყარებული ახალი ხელისუფლებისადმი? მაგრამ ამ შემთხვევაში რად აუხვიეს გვერდი დანაშაულის დაკითხვას, რათ წარუკვეთეს მას წინასწარი საშუალება მოწმეების დასახელების და ყოველ წამოყენებული ბრალდების გაბათილებისა. ვაცხადებ კატეგორიულად, რომ არცერთი ბრალდება, რომელიც რეზოლუციაშია წამოყენებული და რომელთა მიხედვით სიკვდილი მომესაჯა, – შემდეგ ამნისტიით ხუთი წლით საპრობილეზე შეცვლილი, – ჩემთვის არ წამოუყენებიათ, არცერთის გამო არ დაუკითხივართ. ნახეთ არქივი და დარწმუნდით. ამგვარად თუ წარმოვიდგენთ, რომ ჩემი დასკვნა მოხდა იმ დანაშაულობათათვის, რომელიც ჩამიდენია საქართველოს საბჭოთა მთავრობის ხელში. ამას ხომ დამტკიცება უნდოდა, ამისთვის ხომ უნდა დავეკითხეთ და ხომ უნდა დაეკითხათ ის პირნიც, რომელთაც მე დავასახელებდი ჩემი უფლების და სიმართლის დასაცავად და ვინაიდან არც ერთს, არც მეორეს ადგილი არ

ჰქონია, ამიტომ ამგვარი „დანაშაულობისათვის“ დასჯილი ადამიანის განთავისუფლებას და სრულს რეაბილიტაციას მოითხოვს თვით მთავრობისა და მისი ყოველი წევრის პრესტიჟი. მაგრამ მე მგონია, ამ ბრალდებით მხოლოდ უფასო დამატების ხასიათი აქვთ, რაკი მათ შესახებ არ დაუკითხივართ. ისინი ჩემი დასჯის მოტივაციის როლს არ თამაშობენ და ბრალდებითა შორის გამოძიება, დაკითხვა და მოწმეები არ ესაჭიროებოდა მხოლოდ ერთ მუხლს – თუ საერთოდ შესაძლოა ამგვარი პროცედურით ადამიანის დასჯა, გასამართლება – ეს მუხლია „ჩემი ბრძოლა საბჭოთა რუსეთის ჯარების წინააღმდეგ“. ეს ფაქტი ცნობილია, ამას არ უნდა ფიცი, მაგრამ როგორც ზემოთ მოგახსენეთ – ეს ხომ მრავალგზის ნაპატიები მქონდა, უწინარეს ყოვლისა დეკრეტით და მერე თქვენი და ს. ორჯონიკიძის სიტყვებით. ამგვარად, არ არის დანაშაულის ელემენტი ჩემს დასასჯელად. ეს მდგომარეობა წერილობით თუ სიტყვიერი განცხადებით გავაცანი სხვადასხვა პასუხისმგებელ პირს და საბუთი მაქვს, რომ ისინი დავარწმუნე კიდევ ჩემს უდანაშაულო დასჯაში. ამიტომაც, თქვენც მოგახსენებთ ეხლა ყოველივეს და გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ ჩემი რეაბილიტაციის და გათავისუფლების საქმეში. გაქვთ საშუალება საქმეს და ყველა მასალას გაეცნოთ და მით დარწმუნდეთ მთხრობელის სისწორეში და მითვე ჩემს უდანაშაულობაში და როცა ეს აზრი შეგიდგებათ, კეთილი ინებეთ, დამიდებით თავდებათ, და გამათავისუფლეთ, რათა საშუალება მომეცეს ჩემი სახელის რეაბილიტაციისა იმავე დაწესებულებაში და იმავე გზით, რა დაწესებულებებმა და გზამაც მას მოსცხო ჩირქი.

გიორგი მაზნიაშვილი“.

ეს წერილი, რომელსაც, სამწუხაროდ, თარიღი აღნიშნული არ აქვს, 1922 წლის 14 დეკემბერს წარედგინა სამხედრო კომისარს, თენგიზ ჟღენტს. წერილს ახლავს მამია ორახელაშვილისა და ფილიპე მახარაძის რეზოლუცია: „პატიმრობა შეეცვალოს შემდეგში გადასახლებით“. ამ რეზოლუციის გარდა, პატიმარი გენერლის წერილს ადევს აგრეთვე მეორე რეზოლუციაც. „გათავისუფლებულ იქნას,“ ს. ორჯონიკიძე.

როგორც უსამართლოდ დაპატიმრებული გენერლის წერილიდან ჩანს, ახალმა ხელისუფლებამ დაივიწყა როგორც მისი დამსახურება, ასევე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეს გამოცხადებული ამნისტია, რომელიც მას უსაფრთხოების გარანტიას აძლევდა.

საქართველოს „რეკომმა“ დეკრეტი ამნისტიის შესახებ დაადასტურა დამხობილი ხელისუფლებისა და „რეკომის“ წარმომადგენელთა ქუთაისის შეხვედრაზე, რომელიც შედგა 1921 წლის 17 და 18 მარტს. დამხობილი მთავრობისაგან ქართულ მხარეს შეხვედრაზე წარმოადგენდა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის რწმუნებული გრიგოლ ლორთქიფანიძე, ხოლო საქართველოს „რეკომს“, – მამია ორახელაშვილი. სხდომას თავმჯდომარეობდა რსფსრ-ის წარმომადგენელი აბელ ენუქიძე. შეხვედრაზე საბჭოთა რუსეთის მხარეს წარმოადგენდა აგრეთვე ალექსანდრე სვანიძე. ქუთაისის შეხვედრაზე დემოკრატიულ მთავრობასა და საქართველოს „რეკომს“ შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება სამხედრო მოქმედებების ლიკვიდაციის შესახებ. შეთანხმების მე-14

მუხლში აღნიშნულია: „საქართველოს „რეკომი“ თავის 25 თებერვლის ამნისტიის დეკრეტის დამატებით ადასტურებს, რომ არ აგებინებს პასუხს და არ დასჯის არც სასამართლოთი და არც ადმინისტრაციული წესით რესპუბლიკის არც ერთ პოლიტიკურ მოღვაწეს, სამხედრო პირებს, ჯარისკაციდან დაწყებული ვიდრე მთავარსარდლამდე, გვარდიელებს, გვარდიის ოჯახებს და შტაბის წევრებს, ადმინისტრაციის ყველა მოხელეთ და საერთოდ ყველა იმ პირთ, რომელთა მოქმედება მათი სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამსახურიდან და მოღვაწეობიდან გამომდინარეობდა. ეს მუხლი ეხება იმ პირთა, იმ მოქმედებას, რომელთაც ადგილი ჰქონდა შეთანხმების ძალაში შესვლამდე“.

მხედართმთავარი, რომელიც გმირულად ებრძოდა საქართველოს დასაპყრობად შემოსულ საბჭოთა რუსეთის ჯარებს, სამშობლოსათვის დაცვას აგრესორებისაგან მამულიშვილურ მოვალეობად მიიჩნევდა და ამის გამო, თავს დამნაშავედ არ თვლიდა. მისი სარდლობით, 1921 წლის თებერვალში ქართულმა ჯარმა სოლანლულის პოზიციებიდან გაბელული კონტრშეტევის შემდეგ შეძლო თბილისს მომდგარი მტრის შეჩერება. გენერალი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ, როდესაც მისი ბრძანებით, სადარაჯო ლეგიონი გადავიდა იერიშზე „გორის გვარდიელებმა ნახეს რა ლეგიონის იერიშზე გადასვლა, ამოცვივდნენ თხრილებიდან და ეძგერნენ მტერს. მტერმა ბრძოლა არ მიიღო და ნაწილი ტყვედ ჩაგვივარდა“.

ახალმა ხელისუფლებამ, რომელმაც ხაზი გადაუსვა ამაგდარი მამულიშვილის დამსახურებას, ყოყმანის შემდეგ მიიღო „ჰუმანური“ გადაწყვეტილება და სამხილის უქონლობის გამო, პატიმრობიდან გაათავისუფლა გენერალი. საბოლოოდ მას სიკვდილით დასჯა შეუცვალეს „საქართველოს საზღვრებიდან ხუთი წლით გაძევებით“. ასეთი ვერდიქტი* გამოუტანა მას საქართველოს სსრ საგანგებო კომისიამ 1923 წლის მაისში. იგი გაათავისუფლების შემდეგ ერთხანს პარიზში ცხოვრობდა, სადაც გაჭირვებაში მყოფ გენერალს ბედი მორიგ განსაცდელს უმზადებდა, მას დააბრალეს 1924 წლის აჯანყების გაცემა. ტიტანური ძალისხმევითა და ნერვების დაძაბვის ფასად დაუჯდა სამშობლოს სამსახურისათვის თავგანწირულ გენერალს ამ ცილისწამების გაბათილება, საკუთარი პატივისა და ღირსების დაცვა.

საფრანგეთში, ემიგრაციაში მყოფი ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან გენერალმა კატეგორიულად მოითხოვა ოფიციალური განმარტება ამ ცილისწამებასთან დაკავშირებით. მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას სახელზე დაწერილ განცხადებაში გიორგი მაზნიაშვილი აღნიშნავდა, რომ მან არაფერი იცოდა აჯანყების მზადების შესახებ და საერთოდ მხარს არ უჭერდა რაიმე შეიარაღებულ გამოსვლას. მთავრობის თავმჯდომარეს იგი შეახსენებდა, რომ გამოსვლასთან დაკავშირებით კარგად იყო ცნობილი ემიგრანტული მთავრობის წევრებისათვისაც. პატრიოტმა გენერალმა შეძლო შეუბღალავი მუნდირის ღირსების დაცვა და ცილისმწამებელთა დამარცხება.

ლტოლვილობაში მყოფი ხელისუფლება გიორგი მაზნიაშვილს აცნობებდა, რომ მთავრობის სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც, დაადგინეს: „გამოგეცხადოთ თქვენ სრული

ნდობა და ამასთან ერთად ეცნობოს საქართველოს ყველა ჩვენ ორგანიზაციებს, რომ ხმები და ჭორები, რომელიც ტრიალებს თქვენი სახელის გარშემო, არის განზრახ მოგონილი ცილისწამება. მთავრობის მდივანი კ. კანდელაკი“.

საფრანგეთში გადახვეწილი მხედართმთავარი დარწმუნდა, რომ ქართველი მენშევიკების მცდელობას, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპის დახმარებით საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს გათავისუფლებას, პერსპექტივა არ გააჩნდა. გიორგი მაზნიაშვილი „მოგონებებშიც“ წერდა ამის შესახებ: „... ცხადი იყო, რომ ევროპის არც ერთი სახელმწიფო ხელსაც არ გაანძრევდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი მთავრობის ინტერესების დასაცავად. მაგალითად, ინგლისი და საფრანგეთი ჩვენ აშკარად გვაგრძნობინებდნენ, რომ საქართველოს საკითხი შეადგენს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შინაურ საქმეს, რადგან საქართველო შედის ამ კავშირში, როგორც სრულუფლებიანი სახელმწიფო“.

ფიცგაუტეხელმა მხედართმთავარმა სიცოცხლის ბოლო წლები სამშობლოში გაატარა. განაწყენებული და შეურაცხყოფილი გენერალი, რომელიც ემიგრაციაში უკიდურეს ხელმოკლეობასა და გაჭირვებას განიცდიდა, თავის ზნეობრივ მოვალეობად სამშობლოში დაბრუნებას მიიჩნევდა. „მოგონებებში“ იგი გულისტკივილით წერდა: „გაჭირვებამ და ჩემი პიროვნების და პატიოსნების აბუჩად აგდებამ, მაიძულეს მე მიმემართა საბჭოთა მთავრობისათვის, შეემოკლებინათ ჩემი გაძევების ვადა, და როდესაც ნებართვა მივიღე, გადავწყვიტე დავბრუნებულიყავ სამშობლოში, შევერთებოდი ჩემ ორ მილიონ მოძმეს და მათთან ერთად გამეზიარებინა ბედნიერებაც და უბედურებაც...“

ქედუხრელი გენერალი სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა ქვეყნისა და ერის წინაშე დადებული მხედრული ფიცისა. სამშობლოს დაცვა, ქვეყნის სამხედრო ძლიერებასა და ტერიტორიულ მთლიანობაზე ზრუნვა, ქართველ მეომრებში მხედრული სულის აღორძინება გენერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი მიზანი გახლდათ. პარტიული ინტერესები, აგრეთვე პირად კეთილდღეობასა და კარიერასთან დაკავშირებული საკითხები, მას, როგორც პროფესიონალ სამხედროს და პატიოსან პიროვნებას, ნაკლებად აღელვებდა, მხედართმთავარმა არ გაცვალა სამშობლო. მან ამაყად და მოსწრებულად უპასუხა ორჯონიკიძეს, რომელმაც დანაშაულად ჩაუთვალა ამაგდარ გენერალს მენშევიკურ მთავრობასთან თანამშრომლობა. „მე არც მენშევიკების გენერალი ვარ და არც ბოლშევიკებისა, მე საქართველოს გენერალი ვარ!“

სამშობლოში გენერალს საბჭოთა ხელისუფლება ეჭვის თვალთ უყურებდა. მთავრობისაგან „დაფასებული“ გენერალი საკუთარი ძალით მოწეული ჭირნახულით ინახავდა ოჯახს. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მას „დანაშაული“ (ერის სამსახური, ც. ჩ.) არ აპატია. იგი ავადსახსენებელ 1937 წელს დააპატიმრა და შემდეგ დახვრიტა. გამოჩენილმა მხედართმთავარმა გაიზიარა მრავალი ქართველი მამულიშვილის ტრაგიკული ბედი. უმკაცრესმა რეპრესიებმა იმსხვერპლეს ერის საუკეთესო შვილები, მათ შორის ქართველი სამხედრო ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლებიც, რომლებიც

რუსეთის იმპერიის ოფიცერთა კორპუსის ელიტარულ ნაწილს მიეკუთვნებოდნენ. რეპრესიებს ემსხვერპლნენ გამოჩენილი ქართველი ოფიცრები, რომელთა შორის იყო ილია ჭავჭავაძის დისწული, ქართველი საზოგადო და სამხედრო მოღვაწე, ცნობილი ქველმოქმედი, გენერალი კონსტანტინე (კოტე) აფხაზი**, რომელიც დახვრიტეს თბილისში 1923 წლის მაისში. დიდი მამულიშვილი XVIII საუკუნეში კახეთს გადასული შერვაშიძეების შთამომავალი იყო. ბოლშევიკური დიქტატურის დამყარების შემდეგ კოტე აფხაზი, სხვა მამულიშვილებთან ერთად, მონაწილეობდა წინაღმდეგობის მოძრაობაში, რის გამოც დააპატიმრეს და შემდეგ სხვა სიკვდილმისჯილ პატიმრებთან ერთად დახვრიტეს დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე. ბოლშევიკებმა სისხლის კალო გალევეს, მუსრი გაავლეს ქართველ ინტელიგენციას. ეროვნული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი განადგურდა, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობის აღსადგენად.

გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა სანიმუშო მაგალითად უნდა იქცეს ყველასათვის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული. მისი ოცნება იყო ძლიერი ქართული არმიის შექმნა, რომელიც საქართველოს საიმედო დაცვის გარანტი იქნებოდა. გიორგი მაზნიაშვილის სახით სამშობლომ დაკარგა მხედართმთავარი, რომელმაც აგრესორებს ქართული მიწებიდან ფეხი მოაკვეთინა. სამშობლოს მოუკლეს სახელოვანი მხედართმთავარი, სამაგალითო მამულიშვილი, უშიშარი მეომარი, გმირი, რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული შეიარაღებული ძალების მშენებლობაში. ქართველ გენერალში თანაბრად იყო შეზავებული მხედრული შემართება, მომთხოვნელობა და პრინციპულობა პიროვნულ დიდებუებოვნებასთან. მამაცი გენერალი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა მეომრებს, რომლებიც სახელოვან წინაპართა მსგავსად, არ უშინდებოდნენ მტრის სიმრავლეს, გმირი მხედართმთავრის მეთაურობით შეტევაზე გადასულები მუსრს ავლებდნენ დამპყრობლებს და ბრწყინვალე გამარჯვებას აღწევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ვეება მონსტრთან უთანასწორო ბრძოლაში საქართველო, სამწუხაროდ, უმოკავშირეოდ დარჩა, ქართველი ხალხი აქტიურად ჩაება სამამულო ომში სამშობლოს დამოუკიდებლობის დასაცავად. ქართული ჯარის თავგანწირული ბრძოლა, ქართველ მეომართა გმირობა და მამაცობა ქართველი ერისადმი სიმპათიით განაწყობდა ევროპელებს და არა მარტო მათ. ქართველთა მხედრულ შემართებასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ უპრიანი იქნება ალექსანდრე დიუმას შემდეგი სიტყვების გახსენება: „ქართველები ბრძოლებში უნდა ნახო. მაშინ ისინი ჩვეულებრივ ადამიანები კი არა, ტიტანები არიან, რომელთაც ძალუძთ ზეცა იერიშით აიღონ“.

დიდია გენერალ გიორგი მაზნიაშვილის დამსახურება ქართულ შეიარაღებულ ძალებში მხედრული სულის აღორძინებისათვის. იგი თავად განლდათ საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ქართველი მეომარი.

სამშობლოსადმი ერთგული სამსახური, გმირობა და მამაცობა ის თვისებებია, რითაც ქართველი მეომრები ოდითგანვე გამოირჩეოდნენ.

მრავალტანჯული გმირული წარსულით შთაგონებული გენერალი სამშობლოს დამცველებს ყოველთვის შეახსენებდა წინაპართა საგმირო საქმეებს, მოუწოდებდა მათ, არ დაევიწყებინათ „ვისი გორისანი არიან“.

გენერალმა მაზნიაშვილმა მთელი ძალ-ღონე უშურველად შეაღია საყვარელ საქმეს – ქართული არმიის შექმნას და ქვეყნის სამსახურს. გენერლის მსგავსი მამულიშვილები ამშვენებდნენ ქართველი ერის გმირული წარსულის ფურცლებს, საქართველოს ომების ისტორიას. ამიტომაც ქართველი ახალგაზრდობა ჯეროვნად უნდა აცნობიერებდეს, რომ „წარსულის ფესვებს, რაინდობას, კეთილშობილებას და ბუნების სიდიადეს მოწყვეტილი თაობა ღირსეულს ვერაფერს შექმნის“ (თამაზ ბიბილური).

უბადლო მხედართმთავარს, როგორც სამაგალითო პიროვნებას, გულმხურვალე პატრიოტსა და მამულიშვილს, ვფიქრობთ, სავსებით მიესადაგება გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, მოაზროვნისა და მეცნიერის, აკაკი ბაქრაძის შემდეგი სიტყვები: „დადებითი და მისაბადი ის კაცი შეიძლება იყოს, ვისაც მაღალი ზნეობრივი იდეალებისათვის გოლგოთაზე შეუძლია ასვლა, ვისაც ხელეწიფების ჯვარი იტვირთოს და მარტოდმარტომ ზიდოს სიკვდილის კარამდე“.

გიორგი მაზნიაშვილის „მოგონებანი, 1917-1925“, მემუარული ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუში და მაშინდელი ქართლის ცხოვრების პირუთვნელი და შთამბეჭდავი მატთანია.

1927 წელს „მოგონებანი“ ცალკე წიგნად გამოიცა. ეს შესაძლებელი გახდა, რადგან გენერლის მემუარებში გაანალიზებულია დამოუკიდებელი საქართველოს რეალობაში არსებული შინაგანი კრიზისის ნიშნები.

ახალ ხელისუფლებას გიორგი მაზნიაშვილის წიგნში, პირველ ყოვლისა, მენშევიკური მთავრობის კრიტიკა მოეწონა და „მოგონებებს“ გზა გაუხსნა, მაგრამ გენერლის მემუარების მძაფრი ეროვნული სულისკვეთება ნაკლებად შეესაბამებოდა იმათ მიზნებსა და ინტერესებს... ამიტომაც, ამჯობინეს წიგნი სრულიად მიევიწყებინათ და შემდგომში აღარ გამოეცათ.

გიორგი მაზნიაშვილს გულთმისანივით უწინასწარმეტყველებია თავის თავზე: „ერთი გაბრაზებული თაობა თუ დამხვრეტს, მეორე დამშვიდებული თაობა მკვდრეთით აღმადგენს, სიცოცხლე არც დაბადებით იწყება და არც სიკვდილით მთარდება“. თითქმის ყველა ქართველის სათქმელი თქვა შ. ნიშნიანიძემ გიორგი მაზნიაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში: „შინელზე მიჭრილ ნატყვიარიდან ვჭკვრეტ გამოფრენილ ციციანათელებს...“

განმარტებითი ლექსიკონი *

ასკერი – ჯარისკაცი თურქეთში.

ატაშე – ყველაზე დაბალი ტიპლომატიური რანგი. დიპლომატიურ წარმომადგენლობაში სპეციალური პირი, რომელიც საგარეო ურთიერთობების განსაკუთრებულ დარგში მუშაობს (მაგ., სამხედრო, სამხედრო-საავიაციო და სამხედრო-საზღვაო ატაშე). არსებობს პერესატაშეც, რომელსაც ევალება უცხო სახელმწიფოს პრესის მიმოხილვა და თავისი მთავრობისათვის ინფორმაციის მიწოდება.

ბეგი – ბატონი მაჰმადიანურ ქვეყანაში.

ერთა ლიგა – შეიქმნა 1919 წელს. სახელმწიფოთა პოლიტიკური თანამშრომლობის პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია. იგი მტკიცედ იცავდა მშვიდობას და ფაშისტური აგრესიის საფრთხისაგან თავის დასაცავად მოითხოვდა კოლექტიური უშიშროების შექმნას.

ვერდიქტი – განაჩენი. გადაწყვეტილება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში.

იუნკერი – გერმანული სიტყვაა. ყოფილ პრუსიაში: მსხვილი მიწათმფლობელი აზნაური, მემამულე. მეფის რუსეთში დაბალი ჩინის სამხედრო პირი (რიგითი, უნტერ-ოფიცერი) აზნაურთა წრიდან. სამხედრო საშუალო სასწავლებლის მოსწავლე, რომელიც ემზადება ოფიცრობისათვის.

კადეტი – სამხედრო საშუალო სასწავლებლის კურსანტი.

კადეტთა კორპუსი – დახურული ტიპის სამხედრო საშუალო სასწავლებელი, რომელშიც თავადაზნაურთა შვილებს ამზადებდნენ.

ლეგიტიმური – კანონიერი.

ოზაკომი – დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული განსაკუთრებული კომიტეტი.

სეიმი – პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლების ერთპალატიანი უმაღლესი ორგანო, პარლამენტის ერთ-ერთი პალატა ფინეთში, ერთპალატიანი პარლამენტის სახელწოდება.

უზურპატორი – პირი, რომელმაც უკანონოდ ჩაიგდო ხელში ხელისუფლება.

პირთა საძიებელი **

ათაბაგი (ჯაყელი) სერვერი – იყო ქვაბლიანიდან, 1919 წლის მაჰმადიანთა აჯანყების მეთაური. სერვერის მამა იყო ახალციხის ფაშა, რომელიც რუსეთმა გადაიბირა და მისცა ტიტული პრინც კობლიანსკი-ადიგენსკი და დაარქვა გვარი ათაბეგოვ, ე. ი. მამა ბეგებისა.

ანდრონიკაშვილი ალექსანდრე სიმონის ძე – გენერალი 1918 წლიდან; ქართული ჯარის გენერალური ჯარის უფროსი; ქართული სამხედრო სკოლის უფროსი 1920 წ.; კოჯორ-ტაბახმელას ფრონტის სარდალი; 1922 წ. ანტიბოლშევიკური სამხედრო ცენტრის მეთაური; დახვრიტეს ბოლშევიკებმა 1923 წელს.

აფხაზი კონსტანტინე (კოტე) ნიკოლოზის ძე – სამხედრო და საზოგადო მოღვაწე ქართული უნივერსიტეტის დაარსების საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარე. აღმოსავლეთ საქართველოს თავდაზნაურობის მე-14 – უკანასკნელი მარშალი (1913-1919 წწ.). ანტიბოლშევიკური სამხედრო ცენტრის მეთაური. 1919 წლიდან გენერალი. რუსეთის არმიის პოლკოვნიკი; მსოფლიო ომის მონაწილე; 1923 წელს დახვრიტეს ბოლშევიკებმა.

გაბაშვილი ვასილ დავითის ძე – გამოჩენილი მხედართმთავარი, გენერალი, ქართველთა კორპუსის მეთაური, 1918 წელს ქართული ჯარის პირველი მთავარსარდალი, ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტის ავტორი გ. კვინიტაძესთან ერთად. 1919 წელს გახდა თავდაცვის საბჭოს წევრი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. გარდაიცვალა 1933 წელს. დაკრძალულია თბილისში.

გედევანიშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე – გენერალი; ბათუმის სამხედრო კომენდანტი; 1918 წ. საქართველოს სამხედრო მინისტრის მეორე თანაშემწე (მოადგილე) 1918-21 წწ.; ქართული ჯარის სამხრეთის ფრონტის სარდალი (1918 წლის დეკემბერში ქართველ-სომეხთა ომის დროს), თავდაცვის საბჭოს წევრი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. გარდაიცვალა 1933 წელს. დაკრძალულია თბილისში.

ერისთავი ბახრი ბეგი – შთამომავალი დიდი თორნიკე ერისთავისა, ქვაბლიანიდან, ქალაქ ახალციხის ბოქაული.

იმნაძე ნიკოლოზ იაკობის ძე – გენერალი, მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროში. ქართული ჯარის საველე შტაბის უფროსი 1918 წ. დეკემბერში თბილისის რაზმის მეთაური; რუსეთის არმიის პოლკოვნიკი; 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაში წავიდა.

კვინიტაძე გიორგი ივანეს ძე – გენერალი, გამოჩენილი მხედართმთავარი, ქართული ჯარის მთავარსარდალი 1918-21 წწ. ქართული სამხედრო სკოლის უფროსი; 1919-20 წწ. თავდაცვის საბჭოს წევრი და მისი შექმნის ინიციატორი; 1921 წლიდან ემიგრაციაშია, გარდაიცვალა 1970 წელს.

მალლაკელიძე შალვა – სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, 1915 წლიდან – თბილისის სამხედრო სასწავლებელში. იბრძოდა

1917 წელს სამცხე-ჯავახეთში, ემიგრაციაში იყო პარიზში და იქ დააარსა ჟურნალი „ქართლოსი“, სადაც ხშირად იბეჭდებოდა მისი პუბლიკაციები.

მაყაშვილი აბელ (ბალო) გაბრიელის ძე – გენერალი, ახალციხისა და ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორი. 1918-19 წწ. თბილისის სამხედრო კომენდანტი, 1919 წლის მაისიდან იძულებული გახდა წასულიყო აზერბეიჯანში, ვინაიდან საქართველოში მას ადგილი ვერ მოუძებნეს, განჯის სამხედრო სკოლის უფროსი 1920 წელს. რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი 1914 წელს, 1920 წელს ბოლშევიკებმა დახვრიტეს ბაქოში.

მაჩაბელი ბახჩი-ბეგ – ოსმალეთის სასარგებლოდ მომუშავე პირი, შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს მონაწილე და გულწრფელად ემსახურა სამშობლოს.

მუსკიევი – ეროვნებით ინგუში. მონაწილეობდა 1919 წლის აჯანყებაში საქართველოს წინააღმდეგ.

ოდისელიძე ილია ზაალის ძე – გენერალი, გამოჩენილი მხედართმთავარი, მონაწილეობდა საზღვარგარეთ სამშვიდობო მოლაპარაკებაში. საქართველოს სამხედრო მინისტრის თანაშემწე, 1920 წელს ქართული ჯარის მთავარსარდალი, 1920-21 წლებში საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველი. 1921 წლიდან თავდაცვის საბჭოს წევრი. რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაშია; გარდაიცვალა 1922 წელს თურქეთში.

უოკკერი – ინგლისელი გენერალი, რომელიც იმყოფებოდა ბათუმში და ეწეოდა ორმაგ თამაშს ჟორდანიასა და სერვერ-ბეგთან.


ხიმშიაშვილი თემურ – გავლენიანი აჭარელი ბეგი, ოზურგეთის „უეზდის ნაჩალნიკი“. ომის დროს იგი არ გადასულა თურქების მხარეს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- ავალიშვილი, ზ., „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“, თბ., 1929.
- „ამირანი“, კომპოზიციურ-ლიტერატურულ-მხატვრული საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრებული, თბ., 1990.
- ბენდიანიშვილი, ა., „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“, თბ., 2001.
- დაუშვილი, ალ., „დანაშაული“ – საქართველოს გენერლობა“, გაზ. „თბილისი“, 1999.
- დიუე რ. „მოსკოვი და წამებული საქართველო“, ჟურნალი „ცისკარი“, №1, 1992.
- ივანიძე, გ., „ბრძოლა მესხეთისათვის“ 1917-21 წწ., თბ., 2002.
- კვინიტაძე, გ., „მოგონებები“ I-II, თბ., 1998.
- ლომიძე, შ., „მესხეთი და მესხები“, თბ., 1999.
- მაზნიაშვილი, მ., „მოგონებანი“, ბათუმი, 1990.
- მაისურაძე, ე., „მოგონებები გენერალ მაზნიაშვილზე“, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 1997.
- ნოზაძე, ე., „საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო“, თბ., 1989.
- სურგულაძე, ა., სურგულაძე, პ., „საქართველოს ისტორია“, თბ., 1991.
- ფანასკერტელი-ციციშვილი, „მე ივერიის რიგითი ჯარისკაცი“, გაზეთი „სამეფო გვირგვინი“, თბ., 2003.
- შენგელია, გ., ზურმუხტაშვილი, თ., „მე საქართველოს გენერალი ვარ...“, თბ., 2006.
- ჩხეიძე, რ., „როცა შვიდნი ვართ“, თბ., 1990.
- ჩხენკელი; თ., „მწვანე ბივრიტი“, თბ., 2002.
- ხორგუაშვილი, გ., „სრულიად საქართველოს საზრუნავი“, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 2003.
- სცსსა, ფონდი 1891, ანაწ., 1, საქ. 211, ფურც. 32.
- სცსსა, ფონდი 1874, საქ. ფ. ფურც. 187.
- სცსსა, ფონდი 600, ანაწ., 1, საქ. 182, ფურც. 63.
- სცსსა, ფონდი 617, ანაწ., 2, საქ. 2522, ფურც. 300.
- სცსსა, ფონდი 1861, ანაწ., 2, საქ. 217, ფურც. 1.




გენერალი გიორგი მაზნიაშვილი მეუღლესთან ერთად



გიორგი მაზნიაშვილის სახლი სოფელ სასირეთში



ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის III ესკადრონის ოფიცერთა ჯგუფი (გ. მაზნიაშვილი დგას მარჯვნიდან პირველი)



წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

გენერალი
გიორგი
მაზნიაშვილი